ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**კახა კუკავა: „ორპარტიული პარლამენტი უნდა დამთავრდეს“**

გვ.4



**20 სექტემბრიდან**

**ედიშერ ყიფიანი**

**ტომი 1**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 2016 | №224 (7150) | ფასი: 50 თეთრი

# 26 მაისის დარბევაზე კუდის თანამშრომლები 900.000 ლარით დააჯილდოვეს



გვ.2

## პროკურატურა სკანდალურ ვიდეოს ავრცელებს





გვ.2

## ყანდიაშვილი გვარამიას — ნიკა, მე ღლე ვარ, შენ კი ვარამი

## ია ანთაძე: „ოთარ დანელიას რეპლიკა კოკა ყანდიაშვილზე საზოგადოებისთვის საინტერესო არ იყო“



გვ.3

## ადა მარშანია: „ჩვენს შეხვედრაზე „ოცნების“ ნასვამი კანდიდატი მოვიდა და უხეში ლაპარაკი დაგვიწყო“

„აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს დეპუტატის გამოწვევა“

გვ.4



## „აფხაზეთი და სამაჩაბლო კრასნოდარის მხარის ნაწილი გახდება“

გვ.5






ISSN 1987-9385
9 771987 938006

ზაალ კასრელიშვილი: „პრორუსულ პარტიებს მინდა მივუსამძიმრო – პუტინმა ლეგიტიმაცია დაკარგა“



## მსახიობ ბესო ბერულაშვილს თბილისში ბინა 1 ლარად გადაეცა

საქართველოს მთავრობამ ცნობილ მსახიობსა და იუმორისტს ბესო ბერულაშვილს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად საკუთრებაში გადასცა ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა 6-ში, შენობა-ნაგებობა № 1-ში მდებარე ბინა 9, რომლის ფართობი 140 კვ.მ-ს შეადგენს, აგრეთვე მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი.

სახელმწიფოს მიერ გადაცემულ უძრავ ქონებაზე ბესო ბერულაშვილის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში 8 სექტემბერს დარეგისტრირდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

# 26 მაისის დარბევაზე კუდის თანამშრომლები 900.000 ლარით დააჯილდოვეს

## პროკურატურა სკანდალურ ვიდეოს ავრცელებს



შორენა მარსაგიშვილი

**2011 წლის 26 მაისის დარბევის თემა ისევ აქტუალური გახდა. არჩევნებამდე 18 დღით ადრე პროკურატურამ დარბევის ამსახველი აქამდე უცნობი ვიდეომასალა გამოაქვეყნა. საგამოძიებო უწყების ცნობით, მათ ეს კადრები 26 მაისის საქმის გამოძიების მსვლელობისას მოიპოვეს.**



პროკურატურის განმარტებით, აღნიშნული კადრები 26 მაისის ღამეს გადაღებულია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოპერატორის მიერ. კადრებში ასახულია, თუ როგორ გასცემს 2011 წლის 26 მაისს დანაშაულებრივ ბრძანებას დავით ახალაია, რომელიც ითხოვს რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ყველა მომიტინგის დაკავებას, რის სანაცვლოდაც თავის თანამშრომლებს ჰპირდება მაღალ პრემიებს. კადრებში ასევე ჩანს მომიტინგეთა დარბევისა და დაკავების პროცესი, რასაც ადგილზე ხელმძღვანელობდნენ ბრალდებულები. დასახელებულ ვიდეომასალაზე ჩატარებულ იქნა ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც დადასტურდა ჩანაწერის ავთენტურობა.

— გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის 26 მაისს, იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით, დაიგეგმა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებზე ფართომასშტაბიანი და განურჩეველი თავდასხმა, რომლის გამოკვეთილი მიზანი იყო მათი მასობრივი დაკავება, დაშინება და დასჯა, რათა დაუყონებლივ აღკვეთილიყო მიტინგი და აღარ გაგრძელებულიყო საპროტესტო გამოსვლები.

დანაშაულებრივი გეგმის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2011 წლის 25 მაისს, ჯერ კიდევ მიტინგისთვის სანქცირებული ვადის გასვლამდე, პოლიციამ წინასწარ გადაკეტა რუსთაველის გამზირი და მისი მიმდებარე ქუჩები, ხოლო თავისუფლების მოედანი გადაიკეტა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და შს სამინისტროს სხვა დანაყოფების მეშვეობით, რომელთაც ადგილზე ხელმძღვანელობდნენ დავით ახალაია და სხვა მაღალჩინოსნები.

აღნიშნული ქმედებით, ჯერ კიდევ ღონისძიების დაწყებამდე, რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მომიტინგეები აღმოჩნდნენ პოლიციელების ალყაში და მათ გამიზნულად არ დაუტოვეს თავისუფალი გასასვლელები. დაახლოებით 00:10 საათზე, პირადად ივანე მერაბიშვილის ბრძანებითა და კონტროლით, საპოლიციო დანაყოფებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მიტინგის დაშლის ოპერაცია, თუმცა მომიტინგეებს განზრახ არ მიეცათ ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გასვლისა და პოლიციის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა. შესაბამისად, ალყაშემორტყმულ მშვიდობიან მოქალაქეებზე ერთდროულად და ინტენსიურად, რამდენიმე მიმართულებიდან განხორციელდა რეზინის ხელკეტებითა და ტყვიებით აღჭურვილი პოლიციის რაზმების იერიში, რა დროსაც შეგნებულად გამოყენებულ იქნა გაუმართლებლად არათანაზომიერი და გადაჭარბებული ძალა. შედეგად, გარდაიცვალა ორი ადამიანი, დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო 250-მა ადამიანმა, უკანონოდ დაკავებულ იქნა 800-მდე მომიტინგე, — აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციითვე, 26 მაისის ღამეს დავით ახალაიას მიერ გაცემული ბრძანება — „მეტი დაკავებული, მეტი პრემია" შესრულებულ იქნა კუდის ქვედანაყოფების მიერ.

— პრემიის სახით მხოლოდ კუდის თანამშრომლებზე გაიცა დაახლოებით 900.000 ლარი, მათ შორის, პირადად ივანე მერაბიშვილისა და მისი მოადგილის ბრძანებით, ლევან ქარდავამ პრემიის სახით მიიღო 13.780 ლარი, ვასილ ლელუაშვილმა — 9.000 ლარი, დავით ახალაიამ — 6.500 ლარი, ხოლო რევაზ შიუკაშვილმა — 4.135 ლარი, — აღნიშნეს საგამოძიებო უწყებაში.

მათივე განმარტებით, იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე მოახდინა თვალთმაქცური რეაგირება.

— კერძოდ, რეალური ვითარების დამალვის და, რაც მთავარია, დანაშაულში ივანე მერაბიშვილის, დავით ახალაიასა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით, მოჩვენებითად დაისაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 რიგითი თანამშრომელი. დასჯილი პოლიციელებიდან არცერთი უშუალოდ არ მონაწილეობდა მიტინგის დაშლაში. მათ შორის სამი თანამშრომელი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან სხვა საფუძვლით 26 მაისამდე იყო დათხოვნილი.

აღსანიშნავია, რომ ივანე მერაბიშვილის საქმის განხილვისას სასამართლო პროცესებზე ბრალდებული და მისი ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ თავისუფლების მოედნის მხარეს სამართალდამცავებს დატოვებული ჰქონდათ ღია გასასვლელი და მომიტინგეებს შეეძლოთ ტერიტორიის თავისუფლად დატოვება, მაშინ როდესაც წარმოდგენილი ვიდეომასალით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ თავისუფლების მოედნის მხარეც სრულად იყო გადაკეტილი კუდისა და შს სამინისტროს სხვა ქვედანაყოფების მიერ, მომიტინგეები განზრახ მოაქციეს ალყაში, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და მოხდა მათი მასობრივი დაკავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ჩატარებული სპეცოპერაცია მიზნად ისახავდა არა საპროტესტო აქციის დაშლას, არამედ აქციაში მონაწილე მომიტინგეების სამაგალითო დასჯას, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

* * *

26 მაისის საქმის უცნობი კადრების გამომზეურებას მყისიერად გამოეხმაურნენ როგორც დარბეულები, ასევე დამარბევლები.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე, რომელიც იმ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, ამბობს, რომ ამ კადრებმა კიდევ ერთხელ აჩვენა ნაციონალური მოძრაობის ნამდვილი სახე.

— ამ ამაზრზენმა კადრებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა „ნაციონალური მოძრაობის რეალური სახე, იმ ნაციონალური მოძრაობისა, რომელიც დღეს ბედავს, თითს გვიქნევს და ამბობს, რომ ის ხელისუფლებაში მოვა იმისათვის, რომ ქვეყანა სწორ გზაზე დადგეს. კარგად დავინახეთ, თუ როგორი შემართებითა და გაფაციცებით იყვნენ, რომ თავიანთი მოსახლეობა დაესაჯათ.

ასეთი მარჯვე რომ ყოფილიყვნენ ახალაია და ის სპეცრაზმელები თავის დროზე 2008 წლის აგვისტოს ომში და დახმარებოდნენ ცხინვალში მებრძოლ ბიჭებს, შეიძლება, ის სამდღიანი ომი ისე არ დამთავრებულიყო, როგორც დამთავრდა. ნაციონალური მოძრაობა მარჯვე და ძლიერი მხოლოდ უიარაღო, საკუთარი მოსახლეობის წინაშე იყო, — აცხადებს ბურჯანაძე.

მისი თქმით, იმისათვის, რომ ნაციონალებს ჩადენილ დანაშაულებზე პასუხი ეგოთ, დემოკრატიული მოძრაობა უნდა მოსულიყო ხელისუფლებაში.

— დიახ, ჩვენ უნდა მოვსულიყავით ხელისუფლებაში და ნაციონალური მოძრაობის ეს და სხვა წარმომადგენლები, ვინც დამნაშავეა, უკვე დიდი ხანია ციხეში ისხდებოდნენ და არასოდეს აღარ იქნებოდა იმის საშიშროება, რომ ქვეყანაში ოდესმე მსგავსი რამ განმეორდება. ჩვენ მოვალთ აუცილებლად ხელისუფლებაში, აუცილებლად ბოლომდე გამოვიძიებთ 26 მაისისა და სხვა დანაშაულებს და აუცილებლად დავსჯით იმ ადამიანებს, რომლებიც ნაციონალურ რეჟიმს წარმართავდნენ და დანაშაულებრივ ბრძანებებს ასრულებდნენ, — ამბობს დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნება" ოთხი წელი მოუნდა იმ ინფორმაციის გამომჟღავნებას, რომელიც 26 მაისის მონაწილეებმა ოთხი და ხუთი წლის წინ იცოდნენ.

— ძალიან სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნების" სიაში და ერთ-ერთ მთავარ სახედ არის ის ადამიანი, რომელიც ამერიკის ელჩთან ერთად იყო მწვანე შუქის მიმცემი 26 მაისის აქციის დარბევისა და როდესაც ჯერ თამარ ჩუგოშვილმა და მერე ამერიკის მაშინდელმა ელჩმა აქციის დარბევამდე რამდენიმე წუთით ადრე განაცხადეს, რომ ხელისუფლებას აქვს აქციის დარბევის უფლება, ვინაიდან თითქოს აქცია უკანონო იყო. ძალიან სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ" ბოლომდე არ გამოიძია 26 მაისი და აღმაშფოთებელიც კი არის ის, რომ არჩევნებამდე მხოლოდ სამი კვირით ადრე გამოამჟღავნეს ის ფაქტები, რაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ, უკვე დიდი ხანია, ვიცოდით.

იმედი მაქვს, რომ ახლა მაინც, ახალი არჩევნების შემდეგ მაინც მოხდება ისე, რომ ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში და შევძლებთ რეალურად სამართლიანობის აღდგენასა და იმის გაკეთებას, რაც ოთხი წელი ვერ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ". კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ დავამთავრებთ ნაციონალური მოძრაობის თარეშს საქართველოში და კიდევ — ყველამ პასუხი უნდა აგოს ვითომ „კოჰაბიტაციისათვის", — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

ნაციონალურ მოძრაობაში კადრების გამოქვეყნებით აღშფოთებულნი არიან. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გოკა გაბაშვილის თქმით, პროკურატურის ქმედება საზოგადოებაში სიძულვილის გაღვივებას ემსახურება.

როგორც გაბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, არავის სჯერა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ოპერატორის მიერ გადაღებული მასალა დღეს აღმოაჩინა პროკურატურამ.

— ეს ბრიფინგი ადასტურებს იმას, რაც ისედაც კარგად ვიცით, რომ ივანიშვილსა და მის გუნდს არაფერი აქვს სათქმელი არც აწმყოზე, არც მომავალზე და მანიპულირებენ ისევ დაპირისპირებებით, უნდათ საზოგადოებაში სიძულვილის გაღვივება, მანიპულირებენ ძველი თემით და ამისთვის იყენებენ პროკურატურას. ეს არის ერთადერთი, რასაც ის ბრიფინგი ემსახურებოდა.

რა თქმა უნდა, არავის სჯერა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ოპერატორის მიერ გადაღებული მასალა დღეს, შვიდი წლის მერე აღმოაჩინა პროკურატურამ, — განაცხადა გაბაშვილმა.

* * *

აქამდე უცნობი კადრების გამოქვეყნებას პრემიით დაჯილდოებული ყოფილი მაღალჩინოსნების ადვოკატებიც გამოეხმაურნენ.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ყოფილი მოადგილის ვასილ ლელუაშვილის ადვოკატ მამუკა ჭაბაშვილის განცხადებით, 26 მაისის აქციის დარბევისას ლელუაშვილი რუსთაველზე იმყოფებოდა, თუმცა არანაირი ბრძანება მას არ გაუცია.

ადვოკატის თქმით, ლელუაშვილს ბრალი წარდგენილი აქვს. მას ბრალის წარდგენის ასლი გადაეცა, თუმცა საქმის მასალები — ჯერ არა.

— რაც შეეხება თავად ლელუაშვილის პოზიციას, ლელუაშვილი ადასტურებს, რომ ფიზიკურად იქ იყო, მაგრამ არც ამ ოპერაციის დაგეგმვაში, არც ღონისძიების მსვლელობისას მონაწილეობა მას არ მიუღია, არანაირი ბრძანება არ გაუცია. მეტიც, მის საკურატორო სფეროში, სამმართველოები რაც იყო, იქიდან არცერთი მისი თანამშრომელი იმ მიტინგზე არ ყოფილა. გამოდის, რომ ლელუაშვილის ფიზიკურად იქ ყოფნითა და დასწრებით პროკურატურას გამოაქვს ბრალი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, — განაცხადა ჭაბაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნული ღონისძიების სანაცვლოდ ლელუაშვილს უშუალოდ პრემია არ მიუღია.

— ამ ღონისძიებაზე მე უშუალოდ არანაირი პრემია არ მიმიღიაო — ეს ერთი. და რომ ჰქონდეს მიღებული პრემია, ეს არ ნიშნავს, რომ ვიღაცა უკანონოდ დააკავა და ამის გულისთვის აიღო პრემია — ეს კიდევ ცალკე თემაა, — აღნიშნა ადვოკატმა.

თბილისის მთავარი სამმართველოს უფროს რევაზ შიუკაშვილის ადვოკატ ქეთევან მირიანაშვილისთვის გაუგებარია, რას სდებს ბრალად პროკურატურა შიუკაშვილს.

— წარდგენილი ბრალით ვერც რევაზ შიუკაშვილმა, ვერც მე რეალურად ვერ გავიგეთ, კონკრეტულად რას სდებენ ბრალად, ფორმულირებიდანაც არ ჩანს. საქმის მასალები ჯერ არ გადმოგვცემია, დიდი მასალებია, როგორც ჩანს. დეტალებში, ალბათ, შემდეგ ვისაუბრებთ. ბრალს, რა თქმა უნდა, არ აღიარებს, — განაცხადა ადვოკატმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ია ანთაძე: „ოთარ დანელიას რეპლიკა კოკა ყანდიაშვილზე საზოგადოებისთვის საინტერესო არ იყო“

ნათია ხურცილავა

**19 სექტემბერს, რუსთავი-2-ის ეთერში, გადაცემა „არჩევანში" გამართულ სამეგრელოს დეპუტატობის კანდიდატებს შორის დებატების დროს, სარეკლამო შესვენებისას, „ოცნების" დეპუტატობის კანდიდატ სოფლის მეურნეობის ექსმინისტრ ოთარ დანელიასთან საკუთარი პარტიიდან პიარჯგუფის წარმომადგენელი მივიდა და ინტერაქტივის „ჩახსნასთან" დაკავშირებით კოკა ყანდიაშვილის დანაბარები გადასცა.**

– კოკას ჭკუა არ მოეკითხება, მაგრამ რაღაცას ვიტყვი, – ასეთი პასუხი გასცა ოთარ დანელიამ თანაპარტიელს.

ამ ყველაფერს კი რუსთავი-2-ის კამერები და პოლიტიკოსებზე მიმაგრებული ჩართული მიკროფონები აფიქსირებდნენ.

ექსპერტი, ჟურნალისტი ია ანთაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამ ინციდენტზე საუბრობს.

***– ქალბატონო ია, დაირღვა თუ არა ჟურნალისტური სტანდარტი, ოთარ დანელიას უფლებები, თუ პირიქით, წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტები ვალდებულები არიან კანდიდატთან დაკავშირებით სრული წარმოდგენა შეუქმნან ამომრჩეველს?***

– ერთი მხრივ, როდესაც ადამიანი საჯარო სივრცეში იმყოფება და თანაც არის საჯარო ფიგურა, მაჟორიტარი კანდიდატი, მას უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ მისი ნებისმიერი რეპლიკა შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს იმ აუდიტორიისთვის, რომლისთვისაც ეს სიტყვა და ეს რეპლიკა არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, ის ფრთხილად უნდა იყოს, მაგრამ არის მეორე ნაწილი, როდესაც საქმე ეხება მედიას, რომელსაც ხელში აქვს ბერკეტი, რომ ადამიანი წარმოაჩინო ერთი ან მეორე მიმართულებით, წარმოაჩინო მისი ისეთი სახე, რომელიც საზოგადოებისთვის არ არის განკუთვნილი.

ასეთ შემთხვევებში მედია თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი საზოგადოებისთვის და რას აწვდის საზოგადოებას იმის ჩვენებით, რაც დაფარულია.

მაგალითად, როდესაც ომის დროს ბი-ბი-სიმ გადაიღო მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ჰალსტუხს ღეჭავდა, ეს კადრები მან გამოაქვეყნა. ეს არ იყო ყვითელი პრესის მიერ გამოქვეყნებული მასალა. გამოაქვეყნა იმიტომ, რომ ბი-ბი-სის ამით უნდოდა ეჩვენებინა ექსტრემალურ სიტუაციაში ქვეყნის პირველი პირი, პრეზიდენტი რა მდგომარეობაშია. მათ ჩათვალეს, რომ საზოგადოების ინტერესი ამ მასალის მიმართ, რომელიც მათ ძალიან პატიოსანი გზით ჩაუვარდათ ხელში, მაღალ ინტერესს წარმოადგენდა და ამიტომ გამოაქვეყნეს.

***– ოთარ დანელიას რეპლიკაზე კოკა ყანდიაშვილის შესახებ რას იტყვით?***

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში კითხვა ასე ისმის: რამდენად პატიოსანი გზით ჰქონდა მოპოვებული ის მასალა რუსთავი 2-ს, რომელიც გამოაქვეყნა. ამასთან დაკავშირებით კითხვები არის და ეს კითხვები კოკა ყანდიაშვილმა თავის ფეისბუკ გვერდზე გამოფინა.

არის მეორე და უფრო მთავარი საკითხი – რას აძლევდა საზოგადოებას ამ მასალის გამოქვეყნება? მე მგონია, რომ ეს ინფორმაცია ღირებულებას არ წარმოადგენდა.



ასევე, მგონია, რომ ეს ინფორმაცია არ იყო მოპოვებული იმ გზით, რომ საჯარო გამხდარიყო. ამიტომ ასეთი მასალის გამოქვეყნება, რომელიც ასეთი გზით არის მოპოვებული, შეუძლია მხოლოდ იმ ტელევიზიას, რომლისთვისაც სტანდარტის დაცვა არ არის პირველხარისხოვანი და რაღაც სხვა უფრო მნიშვნელოვანია.

***– ამ შემთხვევაში რა სტანდარტზე შეგვიძლია საუბარი?***

– როდესაც ინფორმაცია გაქვს მოპოვებული არა პირდაპირი, საჯარო გზით, ეს ინფორმაცია შეიძლება გამოაქვეყნო. არსებობს ფარული ჩანაწერები ჟურნალისტური გამოძიების დროს, როდესაც ჟურნალისტი ფარულად მოპოვებულ მასალას აქვეყნებს. ეს გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვანაირად ინფორმაციის მიღება შეუძლებელია.

ეს უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაშინ არის ეთიკური მისი გამოქვეყნება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად ეთიკური იყო ის გზა, რომლითაც ეს ჩანაწერი მოიპოვეს, არ ვიცი. იმიტომ, რომ კითხვა ისმის იმასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ გუნდის მიმართ მართლა იყო თუ არა განსაკუთრებული მიყურადება ყველა შესვენებაზე თუ ვინ რას ამბობს და რას ჩურჩულებს, მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ გარეთ გამოიტანო და საჯარო გახადო, ეს მხოლოდ შეიძლება იყოს განსაკუთრებული შემთხვევა თუ ამ ინფორმაციის მიმართ არის მაღალი საჯარო ინტერესი.

მე შემიძლია გითხრათ, რომ ამ შემთხვევაში ეს რეპლიკა არ წარმოადგენდა მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს.

# ყანდიაშვილი გვარამიას – ნიკა, მე დღე ვარ, შენ კი ვარამი

**19 სექტემბერი ორი ადამიანისთვის, სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრისთვის, „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატ ოთარ დანელიასთვის და ჟურნალისტ კოკა ყანდიაშვილისთვის დასამახსოვრებელი იქნება. სცენარი, ერთი შეხედვით, მარტივია, მაგრამ კარგად მოფიქრებული და კარგი „სპეციალისტის“ გაკეთებულია.**



საქმის ვითარება შემდეგნაირია: 19 სექტემბერს რუსთავი 2-ის ეთერში სარეკლამო პაუზის დროს „ქართული ოცნების“ პიარჯგუფის წევრმა ყოფილ მინისტრს კოკა ყანდიაშვილის დანაბარები გადასცა ინტერაქტივის ჩახსნასთან დაკავშირებით, მისგან კი ვილაცისთვის სასურველი პასუხი მიიღო – „კოკა ყანდიაშვილს ჭკუა არ მოეკითხება“.

სარეკლამო პაუზის დროს ფარულად გადაღებული ეს კადრები ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ნიკა გვარამიამ ატვირთა და საზოგადოებამაც სწორედ მისგან გაიგო. თუმცა ყოფილმა პროკურორმა ალბათ ვერ გათვალა, რომ ასეთი საქციელი არც მედია და არც მორალურ სტანდარტებში არ ჯდება.

მომხდართან დაკავშირებით რამდენიმე ლოგიკური კითხვა ყველას გაუჩნდება.

ნაციონალები რომ ერთმანეთზე ასე „თბილად“ საუბრობდნენ, რუსთავი 2-ის ეთერში თუ მოხვდებოდა?

1. ვისი იდეაა ბოლო დროს ფარული მოსმენები და მისი გამოქვეყნება?

2. არ გეჩვენებათ, რომ ყველა ერთი ხელწერით კეთდება?

3. ვინ და რატომ დადო სოციალურ ქსელში „უწყინარი“, რამდენიმეწამიანი ვიდეორგოლი.

* * *

– ნიკა გვარამიასთვის საუბრის ფარული ჩაწერა და გავრცელება დასაშვები სტილია, – ასე აფასებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „რეპორტიორთან“ საუბარში რუსთავი 2-ის ეთერით ოთარ დანელიას ჩანაწერის გავრცელებას.

საყვარელიძე აქვე პარალელს ავლებს რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ აუდიოჩანაწერსა (ნიკა გვარამიასა და პაატა ბურჭულაძის სატელეფონო საუბარი) და 19 სექტემბერს მომხდარ ფაქტს შორის და აცხადებს, რომ ორივე ჩანაწერის გავრცელება გვარამიას ინტერესებს უკავშირდება.

– ამგვარი ჩანაწერების გავრცელება ზნეობრივი ნაბიჯი არ არის და, თუ ნაციონალურ მოძრაობას გულშემატკივრობს რუსთავი 2 და ცნობილია, რომ გულშემატკივრობს, ასეთი საქციელით ნაციონალურ მოძრაობას უკარგავს ამომრჩევლებს.

პარალელი რომ გავავლოთ ბურჭულაძე-გვარამიას საუბრის გავრცელებასა და ამ ფაქტს შორის, მე მაშინ ვთქვი, რომ თუ ინტერესებიდან ამოვალთ, ვის ინტერესში იყო ამ ჩანაწერის გავრცელება, იმისთვის, რომ ბურჭულაძე „ოცნებასთან“ დაეკავშირებინა, ვფიქრობ, გვარამიას ინტერესში იყო და ეს ფაქტი კიდევ უფრო ცხადყოფს, რომ ასეთი სტილი დასაშვებად მიაჩნია ნიკა გვარამიას, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

* * *

მომხდარზე ოთარ დანელიას საჯაროდ განცხადება არ გაუკეთებია, კოკა ყანდიაშვილის პასუხი კი შემდეგია:

1. რუსთავი 2 ინტერაქტივი – მაყურებლით მანიპულირებაა.

არ აქვს მნიშვნელობა, რუსთავი 2 თავად ატარებს გამოკითხვას თუ ამისთვის რომელიმე კომპანიას უხდის ფულს. ფაქტია, რომ ამ არხზე მაყურებლის ინტერესი იგნორირებულია. ეს „დამთვლელი მანქანა“ გადაცემაში სანდრას გამოჩენამდე გამართულად მუშაობდა, ყოველთვის იგებდა ნაციონალური მოძრაობა და მხოლოდ გასულ ორშაბათს, 12 სექტემბერს წააგეს. გუშინ, რა თქმა უნდა, ვერ დაუშვებდით სანდრას კრახს მისივე კუთვნილ არხზე და ინტერაქტივი საერთოდ ჩახსენით. ეს არც არის გასაკვირი, რუსთავი 2 ყოველთვის ყალბი იყო და არის, იმ ავადსახსენებელი 9 წლის მანძილზე ვერაფერს ხედავდა ცუდს და ამ 4 წლის განმავლობაში ვერაფერს ხედავს კარგს.

თქვენი ეგზიტპოლიც ასეთივე წარმატებით გაყალბდება 8 ოქტომბერს. ეგზიტპოლი, რომელსაც თქვენსავით რეპუტაციაშელახული თქვენი კომპანიონი GFK ჩაატარებს.

პრინციპში, სააკაშვილის მეგობარ ადეიშვილის მოადგილის, ყველაფრის გამპრავებელ „ტელემენეჯერისგან“, გაყალბება რატომ უნდა გაუკვირდეს ვინმეს?

გამოვა მთვლელი კომპანია და „გააპრავებს“ რუსთავი 2-ს, მერე თავად რუსთავი 2-ი „გაიპრავებს“ თავს და ბოლოს ამ „გაპრავებაში“ ჩაერთვებიან „ექსპერტები“, NGO-ები და ....

მოკლედ, იყავით ასე თავის მართლებაში, ასევე დარჩით – არ თქვათ სიმართლე. მაინც არავინ დაგიჯერებთ.

2. ოთარ დანელიას პირადად არ ვიცნობ – გავატაროთ. მაგრამ შენ გიცნობ, ნიკა. ასე 15-18 წლის რომ იყავი, ჩემს სტუდიაში თამაშობდი „რა? სად? როდის?“, „ბნელი და უკუნი“ რომ დაარქვით, იმ წლებში. ზუსტად ვიცი, რომ ნორმალური ტელევიზიები არ აქვეყნებენ ამ სახის ვიდეოებს. რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანების კერძო საუბარს, გაუფრთხილებლად (როდესაც სუბიექტმა არ იცის, რომ მისი საუბარი შეიძლება იწერებოდეს), ჩაიწერ ტელეფონით, ჩართული მიკროფონით ტელევიზიაში, მოსასმენს ჩაუმონტაჟებ მანქანაში თუ საძინებელში ჩამოუშვებ ზედა სართულიდან? სულ 1-2 თვის წინ შენმა ჟურნალისტმა იგივე იკადრა ქალბატონ მანანა კობახიძესთან მიმართებაში, შენმა არხმა კი იკადრა და აჩვენა ეს ჩანაწერი. არადა, მაშინ მიკროფონები იყო გამორთული (ხმა ცუდად ისმოდა), სამაგიეროდ, კამერები იყო მომართული. შეგახსენებთ, პარლამენტის ფოიეში ხდებოდა ეს.

შენი არხის ყველა თანამშრომელმა იცის, რომ რაც ქალბატონ მანანასთან ჩაიდინეთ – ულირსი ამბავია. ამ ადამიანებს მაინც ნუ სვრი. ნუ აწვალებ ამ რუსთავი 2-ის თანამშრომლებს.

მე და შენ ხომ ორივემ ვიცით, 2016-ში უარესად წააგებთ, 2012-თან შედარებით. ჩვენ გარდა, ეს იცის მთელმა საქართველომ, თქვენმა მცირერიცხოვანმა მხარდამჭერებმაც კი. მსოფლიომ იცის, რომ ამ ქვეყანაში სააკაშვილის სისასტიკის მანქანა უკვე დამარცხდა, რეინკარნაციის საშუალების გარეშე.

3. ჩართულ მიკროფონებთან სარეკლამო ჭრის დროს ნუ საუბრობთო...

ნიკა, მესმის, რომ ტელევიზიაშიც გენერალური პროკურორი ხარ და ტელევიზია ისევე იცი, როგორც სააკაშვილმა „ვეფხისტყაოსანი“.

ამიტომ აგიხსნი, როგორ ხდება ეს ამბავი:

ა) ყველა მიკროფონის ხმა შედის დიდ ხმის პულტში.

ბ) ხმის რეჟისორი/ოპერატორი, იმ ხმის ბილიკს რთავს საეთეროდ, რომელშიც რესპონდენტი საუბრობს. ზუსტად ამის გამო არ ისმის სხვა სპიკერების წამოძახილები ან გადაცილებული დროის შემდეგ წარმოთქმული სიტყვები. ხოლო თუ შორიდან ისმის ვინმეს ხმა, ამ ხმასაც – გიორგი გაბუნიას მიკროფონი იღებს, რამეთუ მხოლოდ მისი მიკროფონი არ ითიშება ეთერის განმავლობაში.

გ) ყველა მიკროფონი ერთდროულად რომ იყოს ჩართული და არ ითიშებოდეს, მაყურებელი ვერასდროს ვერაფერს გაიგებდა.

რა მოხდა სინამდვილეში? ყველასათვის რომ გასაგები იყოს, ავხსნი:

ა) ნიკა გვარამია, შესვენების დროს, როდესაც ეთერში სარეკლამო ჭრა გადიოდა, მისთვის ჩვეული საქმით დაკავდა. კერძოდ – მიყურადებით. როგორც ადეიშვილის დროს უსმენდა, იწერდა და აშანტაჟებდა, ისევე აგრძელებს ახლაც, სადაც ახერხებს და როგორც ახერხებს. აბა, რუსთავი 2-ის თანამშრომლებს ჰკითხეთ, როგორ ჰგონიათ მათ, რაზე ჩურჩულებენ ერთმანეთში, დღესაც უსმენს და უთვალთვალებს თუ არა „სიტყვის თავისუფლების შუქურა“ ნიკა გვარამია – თითოეულ მათგანს?

ბ) იგი უსმენდა არა ექვსივე პარტიის სპიკერების საუბარს, არამედ მხოლოდ „ქართული ოცნების“. თუ ეს ასე არაა – მაშინ გვაჩვენოს, გაასაჯაროოს, ყველა სხვა სუბიექტის იმავე სახის (ხარისხის) ჩანაწერი, იმავე დროის მონაკვეთში და თან ახსნას, რანაირად ხდება, რომ რესპონდენტების საუბარი იწერება ისე, რომ ისინი ამის შესახებ არ არიან ინფორმირებულნი.

გ) მეტიც, გვარამია არა მხოლოდ უსმენდა, იწერდა კიდეც ამ საუბრის აუდიო-ვიდეო ვერსიას. როდესაც ალმოაჩინა ის ჩანაწერი, რაც საკუთარი ფეისბუქის გვერდზე გაავრცელა, რომ არ „დამწვარიყო“ მიყურადებაში, სარეჟისოროში შეიყვანა ოპერატორი და მონიტორიდან გადააღებინა წინასწარ ჩაწერილი ვიდეო.

დ) იმასაც გეტყვით, რომ სანამ ამ ვიდეოს დადებდა ფეისბუქზე, გვარამიამ ჩემთან დაარეკვინა ნოდარ მელაძეს, რომელმაც ამიხსნა, თუ რატომ ჩაუვარდათ ინტერაქტივი. ნოდარს გულწრფელად სჯერა, რომ ნიკა გენერალური დირექტორია არხის და არა გენერალური პროკურორი. ნოდარს იმისაც სჯერა, რომ რუსთავი 2 თავისუფალი ტელევიზიაა და რომ ცხოვრება მშვენიერი იყო 2003-2012 წლებში. ამიტომ ნოდარის გულწრფელობის მეც მჯერა. ნეტარ არიან მორწმუნენი.

4. მომეკითხება თუ არა მე ჭკუა? გუშინდელი დღე ვარ თუ გუშინწინდელი?

– ნიკა მე „დღე“ ვარ – შენ კი „ვარამი“....

– პოზიტიური ადამიანი ვარ, ხალხს ვახსოვარ „ზარით დანიიდან“ და „საქართველოს მე-20 საუკუნით“.

– შენ გაბოროტებული პერსონაჟი ხარ, ცნობილი „ნოემბრიდან – ნოემბრამდე“ და „ყავარჯნიანი კაცების“ გაპრავებით.

„ყბადაღებული“ პიარის შედეგებს კი ოქტომბერში იხილავ – გაწბილებულ ოდესელთან ერთად.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ადა მარშანია: „ჩვენს შეხვედრაზე „ოცნების“ ნასვამი კანდიდატი მოვიდა და უხეში ლაპარაკი დაგვიწყო“

## „აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს დეპუტატის გამოწვევა“

მარიამ მჭედლიშვილი

**წინასაარჩევნო ვითარებაზე „ახალი თაობა" ესაუბრა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთ ლიდერს, გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო ბლოკის სიის მეორე ნომერს ადა მარშანიას**

***– რამდენიმე ოპოზიციური სუბიექტი აკეთებს განცხადებებს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შესახებ. ამაში სუს-ს ადანაშაულებენ. თქვენს საარჩევნო ბლოკზე რას იტყვით?***

– საარჩევნო ბლოკის სახელით ვერ ვისაუბრებ. მე პარტია პატრიოტთა ალიანსის კოორდინატორი ვარ იმერეთში და შემიძლია ამაზე ვილაპარაკო. იმ ადგილებში, სადაც მიხდება საქმიანობა, ზეწოლა და სუს-ის მხრიდან უხეში ჩარევები არ ყოფილა. თუმცა, ჩვენ ხშირად ვხდებით ყურადღების საგანი. შეინიშნება მიყურადება, მანქანებით ადევნება. ჩვენს კანდიდატებს მიჰყვება ხოლმე მანქანები გადაადგილებისას.



მოხდა სამწუხარო ფაქტები, რომლებშიც ხელისუფლებას და „ქართულ ოცნებას“ ვერ დავადანაშაულებ. მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენი კანდიდატების საარჩევნო პლაკატებს ზევიდან გადააკრეს სხვა კანდიდატების ფოტოები. ეს რომ ნაცმოძრაობას გაეკეთებინა, გასაკვირი არ იქნებოდა. საუბედუროდ, ასე მოიქცნენ „ქართული ოცნების“ ადგილობრივი აქტივისტები. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი მითითება არ მოდიოდა „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან. თბილისშიც იყო ამგვარი შემთხვევები.

***– წინასაარჩევნო შეხვედრებზე არ მომხდარა ექსცესები?***

– ასეთი ერთი შემთხვევა იყო ქუთაისში, სადაც ჩვენი კანდიდატი ნინო ონიანი ხვდებოდა ამომრჩეველს. იმ შეხვედრაზე ნასვამ მდგომარეობაში მივიდნენ იმ რაიონის გამგებელი და „ქართული ოცნების“ კანდიდატი. მათ დაიწყეს უხეში ხმამაღალი ლაპარაკი, მაგრამ არეულობა ვერ გამოიწვიეს, რადგან საქმეში იქაური მოსახლეობა ჩაერია და მომხდურებს უსაყვედურა. ეს ფაქტი უფრო იმიტომაა მიუღებელი, რომ მასში მონაწილეობდნენ გამგებელი და დეპუტატობის კანდიდატი. ისინი ამ საქციელით ცუდ სამსახურს უწევენ მმართველ პარტიას.

***– ბოლო დროს პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია ბიძინა ივანიშვილისა და მმართველი კოალიციის ყოფილი პარტიების ურთიერთბრალდებები.***

– ერთი მხრივ, გულახდილობა ცუდი არ არის, მაგრამ პოსტფაქტუმ მოვლენებზე საუბარი ყოველთვის არ ამართლებს. სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მოსახლეობის უმრავლესობაზე. ეს აზიანებს პოლიტიკურ პროცესებს. ხალხს რჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკოსების ეს ჯგუფი ვიწრო ეგოისტური სურვილებითაა შეპყრობილი და ინტრიგების გარდა, არაფერი აინტერესებს. ეს ყველაფერი უფრო აღრმავებს იმ არაჯანსაღ პროცესებს, რომელიც ისედაც არის საქართველოს პოლიტიკაში.

***– რას გულისხმობთ?***

– არასწორ საარჩევნო გარემოს. ახლა ისეთი გარემოა, რომ არჩევნებში გასამარჯვებლად ხელი ეწყობა არა იმ ადამიანს, რომელსაც უნდა, რომ ხალხს ემსახუროს, არამედ ხელ-ფეხი აქვს გახსნილი ფულიან პირს. ეს არაჯანსაღი სიტუაციაა. ასე ნორმალურ პარლამენტს ვერ მივიღებთ. ყველაფერი არ უნდა იყოს ფულზე დამოკიდებული. ამისთვის ძირეული რეფორმაა გასატარებელი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საარჩევნო გარემო გაჯანსაღდეს.

***– პოლიტიკოსების მიმართ იმედგაცრუება თუ იგრძნობა ხალხში, რომელსაც ხვდებით?***

– დიახ. საუბედუროდ, პოლიტიკოსების მიმართ იმედგაცრუება და უნდობლობაა. ამას ისინიც კი გვეუბნებიან, ვისაც გადაწყვეტილი აქვს, რომ ხმა მოგვცეს. გულგატეხილობა სხვებისადმი ჩვენზეც გადმოდის. ადამიანებს აქვთ შიში, რომ პარლამენტში მოხვედრის შემდეგ არჩეული დეპუტატი გაწყვეტს ხალხთან კავშირს და მარტო საკუთარი ცხოვრების მოწყობით დაკავდება. ამის საწინააღმდეგო გარანტია არ არსებობს, თუმცა, არსებობს პროექტი, რომელიც ამ სიტუაციას გამოასწორებს.

***– რომელი პროექტი?***

– მისაღებია კანონი, რომელიც მოქალაქეებს არჩეული დეპუტატის გამოწვევის საშუალებას მისცემს. ჩვენ ამ საკითხს დავაყენებთ პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობა შეგვხვდება. გვეტყვიან, რომ ევროპაში ასეთი კანონი არ არსებობს, რომ ეს იქნება დეპუტატის მანდატის შეზღუდვა. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი რეალობის შესაბამისად. კანონი დეპუტატის გამოწვევის შესახებ უნდა მივიღოთ ამ ეტაპზე. ახლა ქვეყანას ასე სჭირდება. თუ პარლამენტის წევრი ერთი წლის განმავლობაში ვერ შეასრულებს მოვალეობას, უნდა შეიძლებოდეს მისი გამოწვევა.

***– რა პროგნოზი გაქვთ მაჟორიტარული არჩევნების თაობაზე? საარჩევნო ბარიერის აწევა, მეორე ტურებს გამოიწვევს?***

– ჩვენ საკმაოდ ბევრ ოლქში ველით მეორე ტურს. ჩვენი ძირითადი კონკურენტი „ქართული ოცნებაა“. სამწუხაროა, რომ ეს არჩევნები ტარდება ხალხის დიდი იმედგაცრუების ფონზე. თუმცა, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ამ ქვეყანას პატრონობა სჭირდება.

# კახა კუკავა: „ორპარტიული პარლამენტი უნდა დამთავრდეს“

## „ხელისუფლება არჩევნებს უკვე აყალბებს“

ნონა ცაბაძე

**„ქართული ოცნება“ მშვიდობის მემორანდუმს აქვეყნებს ოპოზიციური პარტიების ნაწილი აპირებს მემორანდუმს ხელი მოაწეროს, ნაწილი კი ხელმოწერაზე უარს აცხადებს. „ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს და ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.**

***– ბატონო კახა, რას აპირებს პატრიოტთა ალიანსი მშვიდობის მემორანდუმთან დაკავშირებით? მოაწერთ ხელს?***

– ჩვენი კოალიცია ამას გადაწყვეტს კოალიციურ რეჟიმში. დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ გვაქვს. ტექსტში რაც იწერება, მიუღებელი არაფერი იქნება, რომ უნდა იყოს მშვიდობა და დემოკრატია. უბრალოდ, საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საარჩევნო გარემო საქართველოში ყოფილიყო მართლაც სამართლიანი. ამ ფონზე მემორანდუმის ხელმოწერა არის ფიქცია.

***– რატომ არის ფიქცია?***

– იმიტომ, რომ ეს არ იქნება არც საარჩევნო რეფორმა და არც მოხსნის საკითხებს არჩევნების არასამართლიანობასთან დაკავშირებით. პატრიოტთა ალიანსს გაუყალბა ხელისუფლებამ შუალედური არჩევნები ერთი წლის წინ და დღემდე ეს საქმე შეუფასებელია როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად მმართველი ძალის მიერ. ახლა რომ ჩავწერთ მემორანდუმში, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს სამართლიანად, რა დაგვიცავს იმისგან, რომ იგივეს არ გააკეთებს საქართველოს ხელისუფლება?!

***– აქ ძირითადად საუბარია პროვოკაციების თავიდან აცილებაზე, რომ სადაც ერთი პარტია მართავს შეხვედრებს მოსახლეობასთან, იქ მეორე პარტია არ უნდა მივიდეს და ასე შემდეგ...***

– ასე კონტექსტიდან ამოგლეჯილად ამ საკითხის განხილვა არ გამოვა. ეს არის ის, რაც მარტო თვითონ აწუხებთ. ეშინიათ, კონტრაქციებს რომ უწყობენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. ეს ხომ უკვე არასწორია, როცა ხელისუფლებას მემორანდუმში შეაქვს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც თვითონ აწუხებს. ხოლო ის, რაც ოპოზიციისთვისაა მნიშვნელოვანი, არც კი განუხილავს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ წამსვლელია ხელისუფლება გაყალბებაზე, თუკი ეს დასჭირდა?***

– წამსვლელია კი არა, უკვე აყალბებს. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არის ისეთივე გაყალბება, როგორც ბიულეტენების ჩაყრა. თუნდაც წინასაარჩევნო დებატებს დააკვირდით, სადაც მხოლოდ პატრიოტთა ალიანსია დაბლოკილი. გვბლოკავენ ყველა დებატზე, იმიტომ, რომ ერთადერთი რეალური ოპოზიციური ძალაა. ეს არ არის არჩევნების გაყალბება?! ნაციონალური მოძრაობის ჩანაცვლება ამ ძალას შეუძლია და სწორედ ამიტომაც გვბლოკავენ.

***– ჩანაცვლდება ნაციონალური მოძრაობა თუ კვლავაც ორპოლუსიანი პარლამენტი გვექნება?***

– მე იმედი მაქვს, რომ ასე მოხდება.

***– არჩევნების მოახლოებასთან ერთად გააქტიურდა ბიძინა ივანიშვილიც. მისი მხრიდან იმატა ოპოზიციონერი ლიდერების კრიტიკამ. ოპოზიციონერი ლიდერები კი ბრალს დებენ მას, ტყუილებს ლაპარაკობს ივანიშვილიო. ასეა?***

– ასეთი ტიპის ორლობის ჭორები როდესაც გამოდის ყოველდღიურად მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მთავარ ახალ ამბებად, ეს უკვე ნიშნავს, რომ ქვეყანაში არის არანორმალური საარჩევნო გარემო. ჩვენ ვუყურებთ, როგორ ტარდება დებატები კლინტონსა და ტრამპს შორის. ეს არის ნამდვილი დებატები, სადაც მიდის საუბარი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე, ქვეყნის ეკონომიკაზე.

ჩვენთან ამაზე არავინ საუბრობს, მუდმივი დრო ეთმობა ფარულ ჩანაწერებს, ლანძღვას, გინებას, პირად კომპრომატებს, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვართ საბჭოთა კავშირში.

***– დღეს ყველა ბრუნვაში გვესმის პაატა ბურჭულაძის სახელი და გვარი. ეს ანტირეკლამა მის რეკლამად ხომ არ იქცევა?***

– პაატა ბურჭულაძე თვითონვე იყო დაკავებული საკუთარი თავის ანტირეკლამით ბოლო ორი-სამი თვის მანძილზე. ამ ადამიანს, ყველა ექსპერტის შეფასებით, ჰქონდა ძალიან დიდი შანსები, რომ გამხდარიყო რეალურად ხელისუფლების ალტერნატივა, მაგრამ იმ პარტნიორების არჩევამ ნაციონალური მოძრაობიდან დაადასტურა ის მოარული ხმები, რომლებიც არსებობდა.

***– რომ ის არის სააკაშვილის კაცი?***

– რომ ის არის ნაციონალური მოძრაობის სატელიტი. ადამიანების 70-80% ინფორმაციას იღებს ვიზუალურად. პაატა ბურჭულაძეს ჩვენ ვხედავთ მუდმივად ზურაბ ჯაფარიძის, გიორგი ვაშაძის და სხვა ყოფილი ნაციონალების გვერდით. ეს არის პირდაპირ ლუსტრირება საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისთვის, რომ ეს ადამიანი არის ნაციონალური მოძრაობის საქმის გამგრძელებელი.

დღეს 2016 წელია, საზოგადოება ითხოვს არა გაუმჯობესებულ მიშას, არამედ „ოცნების“ და ნაციონალური მოძრაობის ალტერნატივას. პოლიტიკურ ძალას, რომელიც არც ერთთან იქნება ასოცირებული და არც – მეორესთან. ჩემი აზრით, პაატა ბურჭულაძეს მოუვიდა ძალიან უხეში შეცდომა.




***– რას გულისხმობთ?***

– როდესაც მისი პარტია დაატოვებინა იმ ხალხს, ვინც არ ასოცირდებოდა ნაციონალურ მოძრაობასთან და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგალითად, ხათუნა ლაგაზიძე და პირველი ექვსეული შეავსო ნაციონალური მოძრაობის ყოფილი ლიდერებით.

***– ეს იყო იძულებითი ნაბიჯი თუ საკუთარი ინიციატივა?***

– ფაქტია, რომ ანტიმიშისტი ხათუნა ლაგაზიძისთვის ათეულში ადგილი არ მოიძებნა და ისიც ფაქტია, რომ ეს ათეული დააკომპლექტა გიორგი ვაშაძემ. ამის მიზეზი ფული იყო, პირადი მეგობრობა, სააკაშვილის დავალება თუ სხვა რაიმე ფაქტორი, ამაზე შეგვიძლია ვიმარჩიელოთ. თუმცა ფაქტია, რომ ამ პარტიიდან ანტიმიშისტები გაყარეს და მთელი ათეული დაკომპლექტებულია მიშისტებით!

***– რას ელოდებით, რამდენად მრავალპარტიული პარლამენტი გვექნება?***

– ამ არჩევნების მთავარი მიღწევა უნდა იყოს სწორედ მრავალპარტიულობა! უნდა დამთავრდეს ის უბედურება, რასაც ორპარტიული პარლამენტი ჰქვია. უნდა იყოს მრავალპარტიული პარლამენტი, სადაც არც ერთ მათგანს არ ექნება უმრავლესობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეიძლება განვვითარდეთ ევროპული გზით.

***– რამდენად მშვიდ ვითარებაში ჩაივლის არჩევნები? ხელისუფლება მუდმივად აპელირებს დესტაბილიზაციასა და მოსალოდნელ საფრთხეებზე.***

– დესტაბილიზაციისთვის ყველაფერს აკეთებს ორი პოლიტიკური ძალა – „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. „ქართული ოცნება“ უფრო მეტს აკეთებს. ნაციონალური მოძრაობა არ ვიცით, რას გეგმავს, „ოცნებამ“ კი ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ არჩევნების შემდგომ პოლიტიკური ძალების უმრავლესობა იყოს უკმაყოფილო და არ ცნოს არჩევნების შედეგები.

როგორც ამბობენ, ნაციონალური მოძრაობაც ემზადება ძალადობრივი ქმედებებისთვის და ორივე ეს ფაქტორი ქმნის დესტაბილიზაციის საფრთხეს. აქ რომ არ იყოს სხვა ფაქტორებიც, მარტო ნაციონალური მოძრაობა თავისი ბანდიტებით ვერაფერსაც ვერ იზამს. მთავარი ის არის, როგორი იქნება საზოგადოების განწყობილება.

შორენა მარსაგიშვილი

# „აფხაზეთი და სამაჩაბლო კრასნოდარის მხარის ნაწილი გახდება“



## ზაალ კასრელიშვილი: „პრორუსულ პარტიებს მინდა მივუსამძიმრო – პუტინმა ლეგიტიმაცია დაკარგა“



რატომ აღარ უნდა ჰქონდეთ პრორუსულ პარტიებს კრემლის იმედი, რატომ აღარ ახსენებს დასავლეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, რა ინფორმაცია გააჟღერებინა რუსეთის ხელისუფლებამ ჟირინოვსკის, რა ბედი ელით საქართველოში პრორუსულ პარტიებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

***– რამდენიმე დღის წინ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ აფხაზეთი და ცხინვალი რუსეთის შემადგენლობაში, როგორც კრასნოდარის მხარის რაიონული ერთეულები, ისე უნდა შევიდნენ. ამ განცხადებაზე ოფიციალურ თბილისს რეაქცია არ ჰქონია. არადა კრემლის კლოუნად მიჩნეული ჟირინოვსკი, როგორც წესი, ოფიციალური მოსკოვის გეგმებს ახმოვანებს ხოლმე.***

– ჟირინოვსკი მართლაც ჯამბაზია. ადრე მეფეები თავისი მასხარების პირით ახმოვანებდნენ იმას, რაც დიპლომატიურ ჩარჩოებში არ ჯდებოდა. ჟირინოვსკის ფუნქციაც ეს არის. ის წლების მანძილზე გაიძახოდა, რომ ყირიმი რუსეთს უნდა მიერთებოდა. ასეც მოხდა. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით ამ ჯამბაზმა კრემლის სამოქმედო გეგმები გააჟღერა.

როდესაც ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელი ოკუპირებული ტერიტორიების მიერთებაზე ლაპარაკობს, ეს დიდი უბედურება არ არის. უბედურება ის პოზიციაა, რაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას და ოპოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით აქვთ.

***– არადა, რომ ჰკითხოს კაცმა, სულ ოკუპაციის გმობაში არიან, ჟირინოვსკის განცხადებაზე კი რეაქცია არავის ჰქონია. ამას რითი ხსნით, ჟირინოვსკის აღიქვამენ არასერიოზულად თუ არჩევნებზე გადართულებმა ამისთვის ვერ მოიცალეს?***

– მე ეჭვი მაქვს, რომ მათმა დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რა თქვა კრემლის მასხარამ. ჩვენი პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს და სამშობლო საერთოდ არ აინტერესებს. ამდენი პოლიტიკოსია ქვეყანაში, მაგრამ მათ რიგებში მხოლოდ რამდენიმეზე შეიძლება იმის თქმა, რომ პატრიოტია.

***– ისინი პატრიოტებად მიიჩნევენ საკუთარ თავს. საინტერესოა, თქვენთვის რას ნიშნავს პატრიოტიზმი?***

– ადამიანი, რომელსაც საკუთარი ქვეყნისთვის თავის გაწირვა არ შეუძლია, პატრიოტი ვერ იქნება. ჩვენი პოლიტიკოსებისთვის პატრიოტიზმი უცხო ცნებაა და ამიტომაც არის, რომ რუსეთი ამდენს გვიბედავს. ისინი ვერც სამშობლოს მნიშვნელობას აცნობიერებენ და ამით აიხსნება ის, რასაც სხვა მეზობლები გვიბედავენ.

***– ადამიანს შეიძლება სამშობლო ძალიან უყვარდეს, მაგრამ ომი და თავის გაწირვა არ შეეძლოს. რატომ არ შეიძლება ასეთი ადამიანი პატრიოტად ჩაითვალოს?***

– თუ შენ პიროვნულად არ ხარ შეწირული, მაშინ ისეთი პატრიოტული სულისკვეთების ქვეყანა უნდა ააშენო, როგორიც სპარტელებს ან ერეკლე მეორეს ჰქონდათ. ჩვენთან არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას ამისთვის არ სცალია. ისინი არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობენ და მოსახლეობას ერთმანეთის გინებით აწონებენ თავს. სკამებზე მონადირეებს უნდა ესმოდეთ, რომ არც შემგინებელს და არც შეგინებულს ქვეყნის ფარგლებს მიღმა ავტორიტეტი არა აქვს.

ერთმანეთის გინებით ისე გაერთნენ, სულ დაავიწყდათ ქვეყანა. ამათი უნიათობის და ბუდარიობის წყალობით, საერთაშორისო საზოგადოებას უკვე დაავიწყდა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

***– რაში გამოიხატება ეს?***

– რამდენიმე დღის წინ რუსეთის ფედერაციაში დუმის არჩევნები ჩატარდა. რუსეთმა საარჩევნო უბნები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყირიმში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც გახსნა. საერთაშორისო თანამეგობრობამ მხოლოდ ყირიმში ჩატარებული არჩევნები გააპროტესტა, აფხაზეთი და სამაჩაბლო არავის გახსენებია.

საქართველოში ამ დროს საარჩევნო კამპანიაა და სავარძლების მოსაპოვებლად მანიაკალური ბრძოლა მიმდინარეობს. ამ ბრძოლაში ჩართულ არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს არ წამოსცდა საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ საყვედური.

***– საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით საყვედურის გამოხატვა ჩვენში ცუდ ტონად და პრორუსულობის გამოვლენად ითვლება. შესაძლოა, ამიტომაც შეიკავეს თავი.***

– არგუმენტირებული საყვედური რატომ არის ცუდი ტონი? მე ლანძღვა-გინებას კი არ ვითხოვ. იმას კარგად ყვირიან ყველაფერზე, ქართველობას გვართმევენო! აფხაზეთს და სამაჩაბლოს რომ არ ახსენებენ, ამაზე აუცილებლად უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

***– რუსეთში ჩატარებული არჩევნები ახსენეთ და რას ფიქრობთ შედეგებზე? პუტინი კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობის მფლობელია. ეს ჩვენს საპარლამენტო არჩევნებზე გავლენას თუ იქონიებს?***

– 2011 წელს რუსეთის დუმის არჩევნებზე ამომრჩეველთა 66% მივიდა. მმართველმა პარტიამ ედინაია როსიამ 52%-ზე ცოტა მეტი მიიღო.

ამ დროს პუტინის ტრიუმფზე ალაპარაკდნენ პრორუსული ორიენტაციის ქართველები. გულწრფელად მეცოდებიან ეგ ბუდარიები და მონები. საქართველოს გარეთ რომ ადამიანი პატრონს ეძებს, ის არაფრის ღირსი არაა.

***– ამ შემთხვევაში მარტო რუსეთს გულისხმობთ თუ ყველა სხვა ქვეყანას?***

– ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ვის შესთავაზებ ქვეშევრდომობას.

დუმის არჩევნების წინ ჩვენებური რუსეთუმეები ამბობდნენ, პუტინი თეთრ ცხენზე ზის და მოსახლეობის 75% უჭერს მხარსო. ჩატარდა ეს არჩევნები და მივიღეთ საკმაოდ საინტერესო შედეგი. არჩევნებზე ამომრჩეველთა რაოდენობა 27-დან 33%-მდე განისაზღვრა.

სხვადასხვა აქტივობა იყო. ზოგ რეგიონში 27% იყო, ზოგან – 33%. რუსეთი ხომ დიდია.

ამ დიდ ქვეყანაში საერთო ჯამში 33% მივიდა არჩევნებზე. 2011 წლის არჩევნებთან შედარებით, ამომრჩევლის რაოდენობა განახევრდა. განახევრებულ ამომრჩეველში მიიღო პრეზიდენტის პარტიამ 54%. იგივე ოდენობის ხალხი რომ მისულიყო არჩევნებზე, რამდენიც 2011 წელს მივიდა, პუტინის პარტია მხოლოდ 27%-ს აიღებდა.

***– რატომ გგონიათ, რომ ასე იქნებოდა, იქნებ მეტი აეღო პუტინს?***

– ის ხალხი, ვინც არჩევნებზე არ მივიდა, ხელისუფლების მოწინააღმდეგეა. საქართველოში მოქმედ პრორუსულ პარტიებს მინდა მივუსამძიმრო – მათმა პუტინმა რეიტინგი დაკარგა, მას ხალხი აღარ ენდობა და ახლა ეს ხელისუფლება ნაკლებლეგიტიმურია.

***– პუტინს ამდენი მოწინააღმდეგე თუ ჰყავს, რატომ არ მართავენ საპროტესტო აქციებს?***

– რუსეთში დღეს რთული ვითარებაა. ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განწყობილი ხალხი არჩევნებისთვის ბოიკოტირების გარდა, სხვას ვერაფერს უპირისპირებს პოლიციურ მანქანას. ამ პროტესტმა შედეგი გამოიღო – არჩევნების შემდეგ დასავლეთისთვის რუსეთის მთავრობა ნაკლები ლეგიტიმაციის მატარებელია.

კრემლი იძულებული გახდება ან შეცვალოს თავის საშინაო – საგარეო პოლიტიკური კურსი, ან კიდევ უფრო გაამკაცროს პოლიციური რეჟიმი.

***– თქვენი აზრით, რომელ გზას აირჩევს რუსეთი?***

– ვერ გეტყვით, ამ ქვეყნის ქმედებების პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია. პოლიციური რეჟიმის გამკაცრების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაიზრდება უკმაყოფილება. რუსეთში ისედაც სერიოზული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისია.

***– და შემთხვევით 1917 წელიც ხომ არ განმეორდება?***

– 1917 წელი ნამდვილად არ განმეორდება, მაგრამ რუსეთის საქმე ცუდად მიდის. რუსეთში ძალიან ბევრ ქართველს აქვს ბიზნესი. აბა ერთი თქვენმა მკითხველმა ნათესავებში მოიკითხოს, რა ხდება იქ. რუსეთიდან მასობრივად მიდიან ბიზნესმენები. ვისაც არაფერი აქვს, ის გინდა რუსეთში იყოს და გინდა სხვაგან. რუსეთში მოღვაწე ბევრი ქართველი ბიზნესმენი დაბრუნდა საქართველოში, ბევრიც ევროპაში წავიდა. მდგომარეობა რუსეთში კატასტროფულია და პრორუსული პარტიები მის შელამაზებას ველარ შეძლებენ.

***– რუსეთში არსებული ვითარება იქონიებს თუ არა რაიმე გავლენას ჩვენში მოქმედ პრორუსულ პარტიებზე?***

– ასეთი ორიენტაციის პარტიები, რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები ახალ პროპაგანდას დაიწყებენ. იტყვიან, პუტინი მაინც მაგარია, მან საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვაო.

ჩვენი აზრით, 8 ოქტომბერს დაგეგმილ არჩევნებზე ის მოხდება, რაც რამდენიმე დღის წინ მოხდა რუსეთში – ხალხის დიდი ნაწილი არჩევნებზე არ წავა. სხვათა შორის, ასე იყო შევარდნაძის დროსაც. მაშინ ჟვანიამ მოიფიქრა და 51%-იანი ბარიერი 30%-მდე ჩამოიყვანეს. გაცილებით აქტიური იყო ამომრჩეველი 2012 წელს. წელს ამის ნახევარიც აღარ მივა არჩევნებზე და ჩვენი ხელისუფლებაც ნაკლებლეგიტიმური იქნება.

***– ეს ნაკლებლეგიტიმურობა რაში შეუშლის ხელისუფლებას ხელს?***

– მას ხელს არაფერში შეუშლის, მაგრამ გადადექი, გადადექის ძახილი იქნება ქვეყანაში. ქუჩაში დარჩება დიდი საპროტესტო მუხტი, რომელიც შეიძლება რომელიმე ქვეყანამ გამოიყენოს სათავისოდ ან მართლაც შეიკრიბოს ხალხისთვის მისაღები ოპოზიცია.

***– პრორუსულები თუ მოხვდებიან პარლამენტში?***

– ეჭვი გვეპარება. მოსახლეობის ქვეცნობიერში მაინც ოკუპირებულია აფხაზეთი და ცხინვალი. ბოლო 4 წლის მანძილზე მავთულხლართები რომ არ გაევლოთ, პრორუსულებს უკეთესი მდგომარეობა ექნებოდათ. არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე მათგანი მართლაც მოხვდეს პარლამენტში, მაგრამ ისინი გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენას ვერ იქონიებენ.

***– ქუჩაში თუ მიაღწევენ რამეს?***

– არც აქ შეძლებენ რამეს, საპროტესტო მუხტს ვერ ააგორებენ. აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიერთების ამბავი კი ანტირუსულ განწყობას კიდევ უფრო გაზრდის.

***– დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთი ამ რეგიონებს მიიერთებს?***

– ჟირინოვსკის შემთხვევით არ გაუკეთებია ეს განცხადება. რუსეთი ამ გეგმის განხორციელებას დაიწყებს და ის, შესაძლოა, ჩვენთან სავაჭროდ გამოიყენოს.

***– რაზე უნდა გვევაჭროს?***

– საგარეო არჩევანზე. მოგვთხოვს, თუ გინდათ, აფხაზეთი და ცხინვალი არ მივიერთოთ, დასავლეთზე უარი თქვითო.

# მიხეილ სააკაშვილი: „ჩემმა ცოლმა დამჩრდილა, ლამის მშურს კიდეც მისი“



საქართველოს ექსპრეზიდენტსა და ამჟამად ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს ინტერვიუ ჩამოართვა ადგილობრივი გამოცემა „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტმა.

ინტერვიუში საქართველოს ექსპრეზიდენტი და უკრაინის ოდესის ოლქის ამჟამინდელი გუბერნატორი ჟურნალის კორესპონდენტ ალექსანდრა გორჩინსკაიასთან ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს – ხელისუფლების კრიზისზე („უკრაინა დღევანდელი პარლამენტითა და მთავრობით სამი წელი ვერ გაძლებს“), სავარაუდო ვადამდელ არჩევნებზე, პარტიების რეიტინგზე, მისი მხარდამჭერების დამოკიდებულებაზე და სხვა საკითხებზე, მათ შორის, მეუღლის – სანდრა რულოვსის პოლიტიკურ საქმიანობაზეც...

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

***– უკრაინელი პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების გამოკითხვების შედეგები მოწმობს, რომ თქვენი სავარაუდო პარტია, ახლა რომ არჩევნები ჩატარდეს, მხოლოდ 10% მიიღებდა, თქვენი პირადი რეიტინგი კი 18%-ს აღწევს...***

– რომელ პარტიაზე ლაპარაკობთ? მე პარტია არ მაქვს.

***– ჰოდა, საქმეც ეგაა, მაგრამ, რომც გქონოდათ, მისი რეიტინგი „პეტრო პოროშენკოს ბლოკზე“ მეტი უნდა ყოფილიყო. რატომაა ასე?***

– ჩემი აზრით, ახლა რეიტინგების გაზომვის დრო არ არის. რეიტინგები ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს, მით უმეტეს, არჩევნების მოახლოების დროს. მოსახლეობა ძველ სახეებს ინსტინქტურად ხმას აღარ მისცემს. უკრაინელები ხედავენ, რომ ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი იცვლება, პირიქით – საქმე უკან და უკან მიდის. პოლიტიკურ არენაზე კვლავ ძველი ფიგურები ჩანან. საჭიროა ახალი სახეები, ახალი პოლიტიკოსები... მჯერა, რომ უკრაინელებში თვითგადარჩენის ინსტინქტი გაიღვიძებს. ახალი სახეები ყველა ქვეყანაში გამოჩნდებიან ხოლმე, ასე მოხდება უკრაინაშიც...

***– თქვენი ცოლიც პოლიტიკაში მიდის, მაგრამ საქართველოში, სადაც იგი 8 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობს....***

– დიახ, იგი ძალიან პოპულარულია. უფრო ზუსტად, მეგაპოპულარულია. ჩემმა ცოლმა დამჩრდილა. იგი ახლა უფრო უკეთეს სიტუაციაშია, ვიდრე მე ვიყავი „ვარდების რევოლუციის“ დროს... თითქმის მშურს მისი. მაგრამ მე უკრაინას და საქართველოს ერთმანეთისაგან არ ვყოფ. იგი აქ რამდენიმე დღის წინ იყო ჩამოსული და ძალიან არის დაინტერესებული იმით, რომ ჩვენ უკრაინაში წარმატებულნი ვიყოთ. ამიტომაც ორ ფრონტზე ვიბრძოლებთ – აქაც და იქაც.

ნიუსპრესი

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ქართული ცხვარი აღარ იყიდება“



მეცხვარეობის დარგში კატასტროფული ვითარებაა.

როგორც „საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი აცხადებს, ამ დარგში არსებული პრობლემები წლების განმავლობაში არ იცვლებოდა, ამის მიზეზი ზემდგომ პირთა გულგრილობა და მეცხვარეობის დარგისადმი არასწორი მიდგომაა.

ბექა გონაშვილი – პრობლემები, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით, წლების განმავლობაში გროვდებოდა. ამ დარგში უკვე სამი წელია არაფერი შეცვლილა. ჯერ კიდევ სამი წლის წინ ვვარაუდობდი იმას, რაც დღეს ხდება: ქართული ცხვრის რეალიზაციას ვეღარ ვახერხებთ, თანაც მისი ფასი ძალიან დაეცა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართული ცხვარი აღარ იყიდება. ბაზრები, სადაც ის გადის, თითზე ჩამოსათვლელია. წელს ჩვენი ცხვარი მხოლოდ საუდის არაბეთში, ყატარსა და დუბაიში გავიდა, მაგრამ დიდი ნაწილი აქედან შარშანდელი ცხვარი იყო. წლევანდელი ცხვარი, რომელიც ივლისის შემდეგ გაიყიდა, დაახლოებით 15-20 ათასი თუ იქნება, ეს ჩვენი სულადობის 7%-ია, მეტი არა. არადა, ამ პერიოდში მუსლიმურ ქვეყნებში დღესასწაულია და წესით, ყველაზე მეტი ცხვარი უნდა გაყიდულიყო.

***– ბატონო ბექა, რა არის ამის მთავარი მიზეზი?***

– ეს იმის ბრალია, რომ წლების განმავლობაში ყურადღებას არავინ გვაქცევდა: როდესაც ვჩიოდით, ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსკენ იშვერდა თითს, ეკონომიკის სამინისტრო – სოფლის მეურნეობის სამინისტროსკენ, ეს უკანასკნელი კი – დანარჩენი ორისკენ. ერთი სამინისტრო მეორესთან გვაგზავნიდა და შედეგიც მივიღეთ! ფაქტია, რომ დღეს ქართული ცხვარი არ იყიდება. ზოგიერთმა მეცხვარემ ახლა დაიწყო ცხვრის ხორცის ირანში გატანა, მაგრამ მიზერულ ფასად და ეს ბევრს ვერაფერს ცვლის.

***– ცნობილია, რომ ცხვარი ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნებიდანაც შემოჰყავდათ და მერე ქართულად ასაღებდნენ...***

– დიახ, შარშან 7.500 სული შემოიყვანეს რუსეთიდან და გაყიდეს, როგორც ქართული. გასულ წელს საქართველოში 7 ათასამდე სომხური ცხვარი შემოვიდა, რომლის რეალიზაციაც მაშინვე ვერ მოხერხდა და წელს გაიყიდა. ძალიან ბევრი მეცხვარე და სპეციალისტი ვარაუდობს, რომ ამ ცხვარს შემოჰყვა სერიოზული დაავადებები – ცხვრის ჭირი და ცხვრის ყვავილი. ცხვრის ყვავილი შარშან გაჩნდა, ხოლო ჭირი – წელს. ეს დაავადებები საქართველოში ადრე პრაქტიკულად არ ყოფილა. ყვავილი 30 წლის წინ იყო, მაგრამ მერე აღარ განმეორებულა. 2014-2015 წლებში საქართველოში დაახლოებით 100 ათასი სული ცხვარი შემოიყვანეს. ამბობდნენ, რომ ტრანზიტის რეჟიმში შემოდიოდა, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მართლება იყო. „დასამშვიდებლად“ ისიც კი გვითხრეს, რომ რუსეთიდან თუშური ჯიშის ცხვარი შემოიყვანეს, რაც სრული აბსურდია. კიდევ კარგი, აცრები დროულად ჩატარდა, მაგრამ ასეთი უკონტროლობა ჩვენს საქმეში დაუშვებელი და დამღუპველია. თუ ასე გაგრძელდება, მეცხვარეები, რომლებიც ცხვარს ვერ ყიდიან, ბანკის კრედიტებსაც ვერ გადაიხდიან.

საქართველოში მარტო მეცხვარეობაში გაცემული სესხების რაოდენობა 100 მილიონ ლარს აღწევს. თუ სიტუაცია არ გამოსწორდება, ამ სესხების დაფარვა ძალიან გაგვიჭირდება. უკვე მეც მირეკავენ ბანკიდან და მეკითხებიან, რა ხდება, კლიენტი არ გამოჩნდაო? მეცხვარეების უმეტესობა, სესხს როცა იღებს, გადახდის ვადად სექტემბერ-ოქტომბერს ასახელებს, რადგან ცხვარს ამ დროს ყიდის. როდესაც ჩვენს პროდუქციას ვერ ვყიდით, ვერ ვისტუმრებთ მწყემსების ხელფასებს, ვერ ვისტუმრებთ ბანკების წინაშე აღებულ ვალდებულებებს და ვერც განვითარებას ვახერხებთ. ამას ისიც ემატება, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ძალიან მაღალ ფასში გვთავაზობს თავის სერვისებს. ეს პირველ რიგში უნდა გამოსწორდეს სხვა პრობლემებთან ერთად, რომელსაც ბიუროკრატია და სახელმწიფო გვიქმნის, რადგან ყველა ეს პრობლემა დარგზე ცუდად აისახება ხოლმე.

***– ცოტა ხნის წინ ვიცეპრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილს შეხვდით. ამ შეხვედრის შემდეგ რა შეიცვალა?***

– დიახ, სექტემბრის შუა რიცხვებში შევხვდით ვიცეპრემიერს. სიმართლე გითხრათ, იმედის ნასახი გამიჩნდა, რადგან თანამდებობის პირისგან ის ინტერესი დავინახე, რაც ადრე არ დამინახავს. ვიცით, რომ ამ დარგით პრემიერ-მინისტრიც არის დაინტერესებული. დიმიტრი ქუმსიშვილთან ჩვენს მთავარ პრობლემაზე – გადასარეკ ტრასებზე ვიმსჯელეთ. ამ ტრასების მოუწესრიგებლობის გამო მეცხვარეებს უამრავი პრობლემა ექმნებათ. გვპირდებიან, რომ ამ საკითხს უახლოეს დღეებში მოაგვარებენ. ოღონდ, ამ საკითხის მოგვარება პირველ რიგში იმ ხალხით უნდა დაიწყოს, ვისი საკუთრებაცაა გადასარეკი ტრასის რომელიმე მონაკვეთი. სახელმწიფომ მფლობელს მიწა სხვა ადგილას უნდა გამოუყოს, ან თანხა გადაუხადოს, სხვაგვარად არაფერი გამოვა. ზოგს იქ რესტორანი და გაზგასამართი სადგური აქვს აშენებული და ხომ ვერ დავანგრევინებთ? სახელმწიფო ამ პრობლემებს რომ მოაგვარებს, მერე შეიძლება ფიქრი, თუ როგორ შეიძლება გადასარეკი ტრასების მართვა. ფაქტია, რომ დღეს მდგომარეობა ტრასებზე კატასტროფულია, რაც პირველ რიგში მეცხვარეებს აზარალებს.

***– გამოდის, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება?***

– დიახ, როგორც გვპირდებიან, რამდენიმე დღეში. გადასარეკი ტრასის საკითხი შეიძლება მოგვარდეს, მაგრამ ცხვრის რეალიზაციას რაც შეეხება, არა მგონია ეს ერთი ხელის მოსმით გამოსწორდეს. ამას სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული მუშაობა და დიპლომატიური გზების გამოყენება სჭირდება. ჩვენ ვერაფერს შევძლებთ, თუ სახელმწიფომ ხელი არ შეგვიწყო და იმ ქვეყნებთან არ მოაგვარა ურთიერთობა, სადაც ქართული ცხვარი შედის, ჩვენ ამას ვერ შევძლებთ. დიმიტრი ქუმსიშვილისგან პირობა მივიღეთ, რომ სახელმწიფო ამ საქმეში ჩაერევა და მხარში დაგვიდგება. ვიცე-პრემიერთან შეხვედრისას ის ინტერესი და მოწადინება დავინახე, რაც ბოლო წლებში არ დამინახავს, რამაც იმედის ნასახი გამიჩინა. დანარჩენს მომავალი გვაჩვენებს.

**ინტერპრესნიუსი**

# პრემიერი საჯარო მოხელეებს მიმართვას უგზავნის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საჯარო მოხელეებს მიმართვას უგზავნის. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრემიერის წერილი გუშინ დილით ყველა საჯარო მოხელემ პირად მეილზე მიიღო.



– თითოეულ ჩვენგანს, ვინც სახელმწიფო სამსახურში ვართ, უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია ქვეყნის წინაშე. ყოველი გადაწყვეტილება, რომელსაც ვიღებთ, ყოველი ნაბიჯი, რომელსაც ვდგამთ, ყოველი ლარი, რომელსაც ვხარჯავთ, ემსახურება ჩვენი საზოგადოების ინტერესებს.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენს საქმიანობაში ზედმიწევნით დავიცვათ კანონის მოთხოვნები. კანონის მცირე დარღვევასაც კი, შეუძლია მოსახლეობას დააკარგვინოს სახელმწიფო მოხელეებისა და ინსტიტუტების მიმართ ნდობა, რაც დაუშვებელია.

წელს საარჩევნო პერიოდის გამო პოლიტიკური აქტიურობა გაზრდილია და განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ საკუთარი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ეთიკურად შესრულებას.

ჩვენი კანონმდებლობით დადგენილია მთელი რიგი წესები, რომლებიც უნდა დაიცვან საჯარო მოხელეებმა და თანამდებობის პირებმა პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობის დროს. მნიშვნელოვანია, ამ წესებს ვიცნობდეთ და ვემორჩილებოდეთ.

გიგზავნით ამ წესებისა და შეზღუდვების ჩამონათვალს. გთხოვთ გაეცნოთ და გაითვალისწინოთ ისინი თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.

სახელმწიფო სამსახურების რეპუტაცია თითოეული ჩვენგანის ხელშია და ყველა ვალდებული ვართ გავუფრთხილდეთ მას. მადლობას გიხდით გაწეული სამსახურისთვის და მოგიწოდებთ, ერთად დავამკვიდროთ პროფესიონალური, ეთიკური, კანონმორჩილი საჯარო სამსახური ჩვენს ქვეყანაში, – ნათქვამია პრემიერის წერილში.

**ინტერპრესნიუსი**

# ეკა გიგაური: „2012 წლის შემდეგ სასამართლო სისტემაში მდგომარეობა გაუმჯობესდა“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით კვლევა გამოაქვეყნა.

როგორც კვლევის პრეზენტაციაზე არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ეკა გიგაურმა განაცხადა, 2012 წლის შემდეგ ზოგადად სასამართლო სისტემაში მდგომარეობა გაუმჯობესდა.

– 2012 წლის შემდეგ ზოგადად სასამართლო სისტემაში მდგომარეობა გაუმჯობესდა და გამამართლებელი განაჩენების რიცხვმაც იმატა. ის, რომ რიგით მოქალაქეებს აქვთ საშუალება, სასამართლო სისტემაში სამართალი იპოვონ. ეს ასეა და ჩვენ ამის დამტკიცება შეგვიძლია კონკრეტული სტატისტიკით, – აღნიშნა გიგაურმა.

მისივე თქმით, გარკვეულწილად გაუმჯობესდა კანონმდებლობა.

– გაიზარდა, მაგალითად, მოსამართლეთა კონფერენციის როლი. მოსამართლეები უფრო აქტიურად ინდივიდუალურად ჩაერთვნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების საქმეში. ის რომ დღეს კამერებს შეუძლიათ შეაღწიონ სასამართლოს დარბაზში და იქიდან გამოიტანონ ინფორმაცია, ესეც არის ძალიან მნიშვნელოვანი, – განაცხადა ეკა გიგაურმა.




„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თავმჯდომარე მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ დარღვევებსაც შეეხო.

– გვქონდა კონკრეტული შემთხვევები, როდესაც საკითხი შეეხებოდა პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებს. აქ ჩვენ რიგ შემთხვევებში ვნახეთ დარღვევები და ასევე გვქონდა კონკრეტული ფაქტები. მაშინ როდესაც კონკრეტულ ჯგუფს ხელისუფლებში უნდოდა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება მიეღო მოსამართლეს, მასზე გავლენის საშუალება მათ ჰქონდათ და ახერხებდნენ კიდევაც ზოგ შემთხვევაში ამას, – აღნიშნა გიგაურმა.

**მედიანიუსი**

# გია ვოლსკი: „ე.წ. მშვიდობის მემორანდუმი პარტიებისთვის ტესტია“



– ე.წ. მშვიდობის მემორანდუმი პარტიებისთვის ტესტია, თუ რა ინტერესები აქვთ მათ, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ.

– ეს კეთდება არა თავად პარტიებისთვის, არამედ საზოგადოებისთვის, რომ საზოგადოებას ყველა პარტიამ საკუთარი დამოკიდებულება, საკუთარი მაგალითი აჩვენოს. მემორანდუმზე ხელმოწერის ინიციატივა არ არის იმისთვის, რომ რომელიმე პარტიას საკუთარი თავის ინიციატორად წარმოჩენა სურს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გია ვოლსკიმ.

„ქართული ოცნება“ პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებულ ე.წ. მშვიდობის მემორანდუმს დღეს გამოაქვეყნებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურში განუცხადეს.

როგორც ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განუცხადა, მემორანდუმში დასმულ მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, რომ იქ, სადაც ერთი საარჩევნო სუბიექტის აგიტაცია მიმდინარეობს, სხვა პარტიის წარმომადგენლები არ უნდა მოვიდნენ. კობახიძის აზრით, ასეთ შემთხვევაში პროვოკაციების საფრთხე მინიმუმამდე შემცირდება.

მან იმედი გამოთქვა, რომ პარტიები „ქართული ოცნების“ შეთავაზებას შეუერთდებიან და მემორანდუმს ხელს მოაწერენ.

– მემორანდუმის გაფორმების ინიციატივით ჩვენი ლიდერი გამოვიდა, რადგან პირდაპირ ვართ დაინტერესებული, რომ მშვიდობიანი არჩევნები ჩატარდეს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მემორანდუმის გაფორმება.

მთავარი მიზანია ძალადობის პრევენცია. ძალადობის პროვოცირების მთავარი ინსტრუმენტია კონტრაქციები. აქედან გამომდინარე, გვინდა რომ ყველა საარჩევნო სუბიექტმა აიღოს შესაბამისი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ კონტრაქციები არ შედგება. ჩვენ არაფერი გვესაქმება იქ, სადაც აგიტაციას სხვა ატარებს.

ჩვენი ამოცანაა დისტანცირება სხვისი აგიტაციისგან. იმედი გვაქვს, რომ სხვა პოლიტიკური სუბიექტებიც ანალოგიურ მიდგომას დააფიქსირებენ. მემორანდუმთან დაკავშირებით კონსულტაციები გრძელდება, – განუცხადა ჟურნალისტებს კობახიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსული საარჩევნო კლოუნადა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

**რუსეთის დუმის არჩევნებზე ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რეგისტრირებულმა 133 000 ამომრჩეველმა, რომლებსაც რუსეთის პასპორტები აქვთ, საკუთარი ხმა ჩიტას, დაურის, ვორონეჟის, ლენინგრადისა და სამარის საარჩევნო ოლქებში რეგისტრირებულ პარტიებსა და კანდიდატებს მისცა. ასეთი უცნაური გადაწყვეტილება, რომლის დედააზრს ბოლომდე ვერც რუსეთში და ვერც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩასწვდნენ, რუსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნულ ოლქებში „ამომრჩევლის ნაკლებობის“ მოტივით მიიღო.**

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რუსეთის ცესკომ 12 საარჩევნო უბანი გახსნა. მათ შორის ხუთი – ქალაქ ცხინვალში, ორი – რუსეთის მეორე საოკუპაციო სამხედრო ბაზაზე, თითო კი დაბა კვაისაში, ახალგორში, ჯავაში, ცხინვალისა და ყორნისის რაიონებში. სულ ცხინვალის რეგიონში 25 363-მდე ბიულეტენი გაიგზავნა, რომელიც რუსეთ-ჩინეთ-მონღოლეთის მოსაზღვრე იმერბაიკალეთის – ჩიტის საარჩევნო ოლქში დაიბეჭდა. შესაბამისად, ცხინვალის რეგიონის ხმებიც ციმბირში წავიდა. ინფორმაციისთვის – ქალაქ ჩიტიდან ცხინვალამდე 7038 კილომეტრია, სასაათო სარტყელს შორის განსხვავება კი 3 საათია.

რუსული კვლევითი ცენტრის RAMCOM-ის ხელმძღვანელი დენის სოკოლოვი რადიო თავისუფლებასთან საუბარში ამბობს:

– შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის ამომრჩეველი შეძვრა ისტორიაში, რომლის შესახებაც მათ არაფერი იციან. ხმები მისცეს ვიღაცას ადმინისტრაციული რესურსის ხათრით. თუმცა, ეს მათ ბუნებრივია არ ადარდებთ. რა მნიშვნელობა აქვს სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანებისთვის ვინ შევა რუსეთის დუმაში ჩიტას ოლქიდან?

კიდევ უფრო კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ოკუპირებულ აფხაზეთში – აქ რუსეთის დუმის არჩევნებისთვის ცხრა საარჩევნო უბანი მუშაობდა. ყველაზე მეტი 41.000 ამომრჩეველი – სოხუმის მე-10 საშუალო სკოლაში გახსნილ უბანში იყო რეგისტრირებული, რომელიც იმერბაიკალეთის – დაურის საარჩევნო ოლქზე იყო მიწერილი. შესაბამისად, ამ უბნის ამომრჩეველმა დეპუტატები 7.500 კილომეტრის მოშორებით აირჩიეს. შედარებით გაუმართლათ, სოხუმის მე-5 საშუალო სკოლაში გახსნილ უბანში აღრიცხულებს. მათი ხმები სულ რაღაც 1250 კილომეტრით მოშორებულ ვორონეჟის ოლქში წავიდა. ამ უბანში ხმა მისცეს – აფხაზთა ლიდერმა ხაჯიმბამ და ახალმა პრემიერმა ბარციცმა.

გაგრასა და ბიჭვინთაში რეგისტრირებულმა ამომრჩეველმა – დუმაში დეპუტატები 1900 კილომეტრით დაშორებულ სამარაში აირჩია. ბომბორას სამხედრო აეროდრომზე დისლოცირებულმა



ოკუპანტებმა, ასევე გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ტყვარჩელსა და გალში რეგისტრირებულმა რუსეთის მოქალაქეებმა კი ხმა 2540 კმ დაშორებულ ლენინგრადის ვსევოლჟკის ოლქში მისცეს.

რუსეთის ოპოზიციური პარტია „იაბლოკოს“ წევრი იგორ ლინიკი, რომელიც გუშინ დაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში დამარცხდა, ამბობს: „ჩვენ ხომ რეალურად არ ვიცით რამდენი ბიულეტენი გამოაგზავნეს აფხაზეთიდან – 44 ათასი თუ 100 ათასი?! ეს ყველაფერი აბსოლუტურად გაუმჭვირვალე პროცესია. ჩვენ, პრინციპში, წინასწარ ვიცოდით არჩევნების შედეგები იმერბაიკალეთში, თუმცა თუ რაღაც პრობლემები შეიქმნება ციფრებთან დაკავშირებით, ეს ციფრები მარტივად შეუძლიათ დააკორექტირონ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოწყობილი „არჩევნების“ ხარჯზე“.

რუსეთში იმედი ჰქონდათ, რომ დუმის არჩევნების გამართვა, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა, საქართველოშიც მოხერხდებოდა. ამაზე მეტყველებს 2015 წლის ნოემბერში მიღებული ფედერალური კანონი, „ერთმანდატიანი ოლქების ფორმირების შესახებ“, სადაც საქართველოში რეგისტრირებული – 8174 ამომრჩეველი ივანოვის ოლქზე იყო მიწერილი.

საბოლოოდ, შეთანხმება ვერ შედგა და მოსკოვმა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ, ხმის უფლების მქონე რუსეთის მოქალაქეებს მოუწოდა, საარჩევნო უფლების გამოსაყენებლად სომხეთში, ქალაქ გიუმრიში ჩასულიყვნენ. რამდენმა ისარგებლა ამ უფლებით, ამ დროისთვის უცნობია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადებით დაგმო რუსეთის ფედერაციის დუმის არჩევნების ჩატარება ოკუპირებულ რეგიონებში და მას „მოსკოვის ანექსიური პოლიტიკის მორიგი გამოვლინება“ უწოდა, რომელიც „საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს უხეშად არღვევს“.

**ნიუსპრესი**

# იური როქსი: „საქართველოს მოსახლეობის ნახევარმა არ იცის, ვინ აირჩიოს“

**რუსული გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტას“ პოლიტიკური მიმომხილველის იური როქსის სტატიას აქვეყნებს, სადაც საუბარი საქართველოში წინასაარჩევნოდ არსებულ ვითარებაზეა.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:**

საქართველოში საპარლამენტო არჩევნების დღე – რვა ოქტომბერი ახლოვდება, მაგრამ მოსახლეობის 50%-ს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, რომელ პარტიასა თუ ბლოკს მისცეს თავისი ხმა. გამოკითხვის შედეგი, რომელიც ამერიკულმა „ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა, მეტყველებს მოსახლეობის პოლიტიკურ აპათიაზე, მიმზიდველი იდეებისა და ახალი ქარიზმატული ლიდერების არარსებობაზე.

პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმა წინასაარჩევნო სიტუაციის გაანალიზებისას აღნიშნა, რომ ასეთი ვითარება პოლიტიკური ელიტის სისუსტითაა განპირობებული. ის, რომ ჯერ კიდევ დიდია „პრიორიტეტებში გაურკვეველი“ ამომრჩევლის რაოდენობა, იმას ნიშნავს, მოსახლეობას არც ხელისუფლება არ მოსწონს და არც ოპოზიცია. ასეთი სიტუაცია ხელს აძლევს „მესამე“ პოლიტიკურ ბანაკს, რომლის ჭრელ წარმომადგენლებს თავი აქვთ შეფარებული როგორც მმართველ „ქართულ ოცნებაში“, ასევე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ (ყოფილ მმართველ პარტიაში). ისინი მაშინ წარმოჩნდებიან და „გაისვრიან“, თუ ჯერ კიდევ გაურკვევლობაში მყოფი ამომრჩევლის ხმებს მიიღებენ.

კიდევ ერთი პოლიტოლოგი, გია ნოდია, გაურკვევლობაში მყოფი ამომრჩევლის ასეთი რაოდენობის მიზეზად საზოგადოების მოუმწიფებლობას მიიჩნევს – საზოგადოებისა, რომელიც დიდი ხანია მესიანიზმითაა შეპყრობილი და ავადმყოფობს. მთელ პოსტსაბჭოთა პერიოდში რიგითი ქართველი ამომრჩეველი ხელისუფლებაში სულ რომელიღაც „ზეადამიანის“ მოსვლის იმედით ცხოვრობს, რომელიც უცებ, ჯადოსნური ჯოხის აქნევით გადაწყვეტს ყველა პრობლემას და ნათელ მომავალს უზრუნველყოფს. ასე



იყო ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მიმართ, ასეა ბიძინა ივანიშვილის მიმართაც. საზოგადოება მძიმედ ეჩვევა იმ აზრს, რომ არცერთ პოლიტიკოსს, არცერთ ლიდერს სასწაულის მოხდენა არ შეუძლია და, შესაბამისად, მოქალაქეებს ყოველი არჩევნების შემდეგ იმედგაცრუების გრძნობა ეუფლებათ.

– დღევანდელი სიტუაცია იმას მოწმობს, რომ საზოგადოებამ თვითონაც არ იცის, რა უნდა, – ამბობს გია ნოდია. ალბათ, ექსპერტი მართალს ამბობს, თუმცა მისი შეფასებები რადიკალურია.

კიდევ ერთი ექსპრესგამოკითხვის შედეგები, რომელიც სააგენტო ჯამნიუსმა ჩაატარა: „რას ელოდება მოსახლეობა საპარლამენტო არჩევნებისა და ახალი მთავრობისაგან“. გამოკითხულთა მთავარი სადარდებელი სოციალური სიდუხჭირე, უმუშევრობის მაღალი დონე, მცირე შემოსავლები, მძიმე კომუნალური გადასახადები და ა.შ. დღევანდელი ხელისუფლების მიმართ გამოთქმული პრეტენზიები უმეტესად შეუსრულებელ დაპირებებს ეხება: „მთავრობა შესაცვლელია, რადგან ოთხი წლის განმავლობაში მას არაფერი შეუცვლია“. მაგრამ შეკითხვაზე, ვინ უნდა იყოს ქვეყნის მეთაური, რომ სიტუაცია გაუმჯობესდეს, პასუხი არ ჩანს.

მართლაცდა, „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე დაპირებები ბლომად დაახვავა. თუ გავაანალიზებთ მმართველი პარტიის მიერ ოთხი წლის წინათ გაჟღერებულ გეგმა-დაპირებებს და დღევანდელ სიტუაციას შევადარებთ, გაკეთებული საკმაოდ ცოტაა. მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ გლობალური კრიზისის პირობებში ხელისუფლებამ მეტ-ნაკლებად, ტურისტული ნაკადის მიზიდვა შეძლო, მუშაობენ ადრე გახსნილი საწარმოებიც. განხორციელდა სამედიცინო სფეროს რეფორმა, დაინერგა თითოეული მოქალაქის დაზღვევის სისტემა, გაიზარდა პენსიები და სოციალური შეღავათები. მართალია, პენსიების მატებამ ინფლაცია-დევალვაციის შედეგების კომპენსირება ვერ მოახდინა, მაგრამ არც კომუნალური მომსახურების ტარიფები არ გაზრდილა. ბიზნესი თავისუფალია, გადასახადები კი – ყველაზე ლიბერალური რეგიონში. ხელისუფლება აგრძელებდა ევროატლანტიკური ინტეგრირების პროცესს, ამის პარალელურად კი ჩრდილოელ მეზობელ რუსეთთანაც გარკვეული ურთიერთობები დაამყარა.

შეიძლება „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველი წლები ისეთი „ნათელი“ არ იყო, როგორც ნაცმოძრაობის დროს, მაგრამ ცუდსაც ვერ უწოდებ, მით უმეტეს, თუ გლობალურ ნეგატიურ პროცესებს გავითვალისწინებთ, რომლებმაც არასასურველი გავლენა მოახდინეს როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების ეკონომიკურ სიტუაციაზე.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით პარტიების წინასაარჩევნო დაპირებებს, შევამჩნევთ, რომ ისინი თითქმის ზუსტად იმეორებენ ერთსა და იმავეს. განსხვავება იმაშია, რომ ზოგი ბევრს პირდება ამომრჩეველს, ზოგი შედარებით მორიდებულია და ნაკლებს აღუთქვამს. მაგალითად, ნაცმოძრაობა მოსახლეობას პენსიების მხოლოდ 50 ლარით გაზრდას ჰპირდება („მეტს ბიუჯეტი ვერ გასწვდება“), სხვები კი ისეთ თანხებს ასახელებენ, რომ პენსიონერები „ჭკუიდან გადაჰყავთ“. ყველა პარტია ცდილობს, ერთმანეთი რაღაცაში გამოიჭირონ, საკუთარი სიმართლე დაამტკიცონ და მოწინააღმდეგე „ჰაერის გაყიდვაში“ ამხილონ.

ამასთან, ამჟამინდელი წინასაარჩევნო კამპანია წარსულისაგან მაინც განსხვავდება: ჯერჯერობით ძალიან სენსაციური სკანდალები არ ხდება. ალბათ იმიტომ, რომ კარადიდან უკვე ყველა „ჩონჩხი“ უკვე გამოტანილია, ახლები კი ჯერ არ აღმოუჩენიათ. თუმცა საგულისხმოა, რომ ტელეარხ „იმედის“ ეთერში, რომელიც ხელისუფლებისადმი ზოგადად სიმპათიას ამჟღავნებს, გადის რეჟისორ გიორგი ხაინდრავას (ყოფილი სახელმწიფო მინისტრის) მიერ გადაღებული მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ჰეროკრატია“, რომელშიც ნაციონალების ულმობელი რეჟიმის საშინელებებია ნაჩვენები.

მკითხველს გავახსენებთ, რომ საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები განსაზღვრა იმ კადრების ჩვენებამ, რომლებშიც ქართულ საპყრობილეებში მომხდარი წამებისა და ცემის ფაქტები იყო ასახული. სწორედ ამ რეალობამ განაპირობა ნაციონალური მოძრაობის დამარცხება. როგორც ჩანს, ფილმის მიზანი იმაშია, რომ მოსახლეობას გაახსენოს იმ პერიოდის საშინელება და ნაცმოძრაობის წინააღმდეგ მიმართული განწყობა გაუღვივოს, მით უმეტეს, რომ კინოსურათი ბიძინა ივანიშვილის



მიერ არის დაფინანსებული. სხვათა შორის, იყო დრო, როცა ოლიგარქი იფიცებოდა – ნაციონალებს მოუსავლეთში გავგზავნი, მათი ადგილი უკვე ისტორიაშიაო, მაგრამ ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ ოთხწლიანი მმართველობის პერიოდში ოპოზიციურმა ნაცმოძრაობამ საკვირველი სიცოცხლისუნარიანობა გამოამჟღავნა.

ექსპერტების აზრით, თუ ეს არჩევნები ნაცებისთვის წარუმატებელი იქნება (საქმე ეხება არა მათ დაბრუნებას ხელისუფლებაში, არამედ პარლამენტში პოზიციების შენარჩუნებას), მაშინ ბიძინა ივანიშვილი თავის დაპირებას, ალბათ, მართლაც შეასრულებს.

არჩევნების სხვა სუბიექტები იმ ნიშას ეჭიდებიან, რომლის საშუალებით შეიძლება პარლამენტში „შესვლის“ საშვი მიიღონ: ზოგი იძახის, „მტკიცე მედასავლეთე“ ვარ და ნატო-ევროკავშირის სიყვარულით ხმა მე მომეცითო, ზოგმა მოქმედების რისკიანი ვარიანტი აირჩია და აცხადებს – ვისაც რუსეთთან შერიგება უნდა, მე დამიჭიროს მხარი, სურვილს შევუსრულებო. საერთოდ, რუსეთთან დაკავშირებული იდეა საქართველოში მაინცდამაინც პოპულარული არაა, მაგრამ მხარდამჭერები ჰყავს. არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც იმ 50 პროცენტის იმედი აქვთ, რომლებიც ჯერაც ვერ გარკვეულან, ვის მისცენ ხმა.

**ნიუსპრესი**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმარო ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

# მანჰეტენის აფეთქების ორგანიზატორი დაკავებულია



© picture-alliance/AP Photo/A. Kudacki

პოლიციამ დააკავა მოქალაქე, რომელიც მანჰეტენზე აფეთქების ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. ის ამერიკის მოქალაქე, წარმოშობით ავღანელი რიჰამი აღმოჩნდა.

დაკავებისას მან პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია.

ორმხრივი სროლის შედეგად რიჰამი დაიჭრა. ახლა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. არსებობს ვერსია, რომ რიჰამი ისლამურ სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული.

მანჰეტენის ტერაქტის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატებმა განცხადებები გააკეთეს.

ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მუშაობა უნდა გააქტიურდეს.

– ასეთი ტერაქტები ჩანასახშივე უნდა აღიკვეთოს, – თქვა მისის კლინტონმა.

დონალდ ტრამპი თავის რეპერტუარში იყო. მან აღნიშნა, რომ მიგრაციული კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს, შეიზღუდოს ამერიკაში მუსლიმანთა შეშვება, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ავღანეთი, სირია, სომალი.

– ჰილარი კლინტონს სურს, ამ ქვეყნებიდან გადმოხვეწილი ლტოლვილებით ამერიკა გაავსოს, – განაცხადა ტრამპმა.

უკანასკნელი გამოკითხვებით, დონალდ ტრამს მხარს 43% უჭერს, ჰილარი კლინტონს – 47%. მიუხედავად ავადმყოფობისა, ჰილარიმ პირველობა შეინარჩუნა, თუმცა ტრამპსაც გამარჯვების რეალური შანსები აქვს.

# უკრაინა ოქტომბერში უვიზო რეჟიმს მიიღებს



ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა განაცხადა, რომ ოქტომბერში უკრაინა უვიზო რეჟიმს მიიღებს. ჰანმა დადებითად შეაფასა ის დემოკრატიული რეფორმები, რაც დღეს უკრაინაში ხორციელდება.

– ევროკავშირის ქვეყნებიდან დადებითი სიგნალები მოდის, ასე რომ, უვიზო რეჟიმს სავარაუდოდ ხელს ვერაფერი შეუშლის, – თქვა ჰანმა.

რაც უფრო რეალური ხდება უკრაინის ევროპერსპექტივა, მით უფრო აქტიურდება რუსული მეხუთე კოლონა. დონბასში სიჩუმის რეჟიმი სისტემატურად ირღვევა. უკრაინის სამხედრო დაზვერვისა და უშიშროების სამსახურის ექს-შეფი იგორ სმეშკო მიიჩნევს, რომ დონბასის ფრონტზე რუსების ფართომასშტაბიანი შეტევა ნაკლებ მოსალოდნელია, სამაგიეროდ, კრემლი უკრაინის შიგნიდან აფეთქებას შეეცდება.

– რუსებისთვის მთავარია, ახალი მაიდანი მოგვიწყონ. მნიშვნელობა არ აქვს, რა ლოზუნგებით მოხდება ეს. შესაძლოა უკიდურესად ნაციონალისტური და ანტირუსული ლოზუნგებითაც მოხდეს. ახლა მოსკოვისთვის მთავარია დესტაბილიზაცია, – ამბობს სმეშკო.

უშიშროების ექს-შეფი ხაზს უსვამს იმას, რომ დესტაბილიზაციას სისხლისღვრა და სეპარატიზმის ახალი ტალღა მოჰყვება.

– რუსული დიპლომატია მიისწრაფის დაარწმუნოს დასავლეთი, რომ უკრაინის ამჟამინდელ საზღვრებში არსებობა გამუდმებული კონფლიქტების წყაროა, ამიტომაც დასავლეთისთვის თურმე უფრო მომგებიანი უკრაინის დაშლაა, – აცხადებს სმეშკო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ეკა ბესელია: „მნიშვნელოვანია 26 მაისის საქმეზე გამოძიების ბოლომდე მიყვანა“



– პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას შეფასებით, მნიშვნელოვანია 26 მაისის საქმეზე გამოძიების ბოლომდე მიყვანა და მართლმსაჯულების აღსრულება.

– ერთ-ერთი მძიმე ლაქა, სისხლიანი დარბევა, რაც საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება, არის 26 მაისი. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ საქმეზე გამოძიების ბოლომდე მიყვანა. შეიძლება ცოტა გვიან ხდება, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულება აღსრულდეს.

26 მაისის დარბევას საერთაშორისო საზოგადოება გამოეხმაურა, როცა შემზარავი კადრები გავრცელდა, თუ როგორ იწვნენ მშვიდობიანი მომიტინგეები სისხლის გუბეებში. ამ საქმეზე ვანო მერაბიშვილის გარდა პასუხი უნდა ეგოთ იმ პირებს, ვინც ამ ბრძანებას იძლეოდა და ასრულებდა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მთავარმა პროკურატურამ 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დარბევისა და მასობრივი დაკავების ფაქტზე ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებს ბრალი წარუდგინა.

**ინტერპრესნიუსი**

## თავისუფალი დემოკრატები ეროვნული ფორუმის შეთავაზებაზე უარს ამბობენ



როგორც ჟურნალისტებს თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განუცხადა, პარტია დაინტერესებულია მხოლოდ ხალხთან შეხვედრებით, ხოლო კულუარული შეხვედრები წარსულსა და მომავალ ურთიერთობებზე მეასეხარისხოვანია მათთვის.

– ერთადერთი შეხვედრა და შეხვედრები, რაც თავისუფალ დემოკრატებს გვაინტერესებს, არის ჩვენ ხალხთან შეხვედრები. მათ სჭირდება ჩვენი მხარდაჭერა, თავისუფალი დემოკრატების, როგორც ალტერნატიული ძალების ხედვების მოსმენა, თუ როგორ გამოვიყვანთ ქვეყანას იმ პრობლემებიდან, რომელიც არის. ერთადერთი ასეთი შეხვედრებით ვართ დაინტერესებული, კულუარული შეხვედრებით წარსულსა და მომავალ ურთიერთობებზე. ეს ჩვენთვის მეასეხარისხოვანია, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ეროვნული ფორუმის წევრმა გუბაზ სანიკიძემ გუშინ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილისათვის „კონსტრუქციული შეთავაზება აქვს“, შეხვდეს დავით უსუფაშვილს, ირაკლი ალასანიასა და კახა შარტავას.

**ინტერპრესნიუსი**

## მარგველაშვილი: „შსს–მ უნდა დაიცვას ყველას უფლება, აწარმოოს მშვიდი საარჩევნო კამპანია“



– შსს-მ მიუხედავად პირადი პოლიტიკური სიმპათიისა, უნდა დაიცვას ყველას უფლება, აწარმოოს მშვიდი საარჩევნო კამპანია პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს, „მშვიდობის მემორანდუმს“ ხელი მოაწერონ.

ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა.

მისი თქმით, პრეზიდენტი კიდევ ერთხელ მიესალმება პრემიერის ინიციატივას „მშვიდობის მემორანდუმთან“ დაკავშირებით და კიდევ ერთხელ მოუწოდებს პარტიებს, მემორანდუმის ხელმოწერისკენ.

– მართალია, მემორანდუმები არ არის არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარების სრული გარანტი. გარანტი პირველ რიგში, კანონის უზენაესობა და მისი დაცვაა. კანონის დაცვას კი, პრეზიდენტის აზრით, არ სჭირდება დამატებითი პოლიტიკური კეთილი ნება. ამისთვის უპირველეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, უნდა შეასრულოს თავისი პირდაპირი მოვალეობა და მიუხედავად პირადი პოლიტიკური სიმპათიისა, დაიცვას ყველას უფლება, აწარმოოს მშვიდი საარჩევნო კამპანია, – განაცხადა მიშველაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## გოგი თოფაძე: „არასამთავრობოები ახალგაზრდებს მომავალს უწამლავენ“

„თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი დარწმუნებულია, რომ პარტია არჩევნებში ბარიერის გადალახავს.

როგორც გოგი თოფაძემ პრესკონფერენციაზე განმარტა, „მრეწველებს“ ბარიერის გადალახვის პრობლემა არასდროს ჰქონიათ.



ამასთან, თოფაძე არასამთავრობო ორგანიზაციების იმ მოწოდებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვით, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა იმ 6 მინისტრის ვინაობა უნდა დაასახელონ, რომლებიც ამ პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, ეკონომიკის, საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის უწყებებს ჩაიბარებენ.

– არასამთავრობოებმა თავიანთ პატრონს მოჰკითხონ, რადგან ისინი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან და მომავალს უწამლავენ ჩვენს მომავალ თაობას, – განაცხადა თოფაძემ.

**მედიანიუსი**


## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**☎ 599-73-48-21.**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისადანარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
**☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი). მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.**

# მამული ევროთასებისთვის მზადებას იწყებს

19 და 20 ნოემბერს, ხელბურთელ ქალთა კლუბი, მამული, ევროტურნირების ორივე შეხვედრას, ჩეხეთის სოკოლ პორუბას წინააღმდეგ, თბილისში ითამაშებს. ეს იქნება ჩელენჯ კაპის მეთექვსმეტედფინალი.

თავდაპირველად, ჩეხურ კლუბს ორივე მატჩის ოსტრავაში თამაში სურდა, მაგრამ მამულის ხელმძღვანელობა ამას არ დათანხმდა, რის შემდეგაც ოსტრაველებმა თავად შემოგვთავაზეს თბილისში შეხვედრა. მეთექვსმეტედფინალის სათამაშო დღეები 12-13 და 19-20 ნოემბერია, ორივე გუნდმა თარიღად 19 და 20 ნოემბერი არჩია.

**თბილისის მამული:**

**მეკარეები:** ანა ვარდიშვილი (1999), ქრისტინე ჯავახია (1998), მარიამ ჩაჩუა (1999);

**მოთამაშეები:** ქრისტინე ღვალაძე (1998), თამარ კუპატაძე (1998), ქეთი კუნელაშვილი (1999), თინა ქიტესაშვილი (1999), ელისაბედ ჩხაიძე (2002), ანა ყველაშვილი (1999), მარია ლისენკო (1998), ქეთევან ვენეცკი (1998), კატერინა ესმანოვიჩი (1999), ინა ჭკუასელი (1985), ნინო გაგნიძე (2002), მედეა ჩოხელი (1999), ჯულია ჩირგაძე (2001);

**მწვრთნელი:** გიორგი გვაზავა;




თბილისის მამული ჩელენჯ კაპისთვის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბაზაზე დაკომპლექტდება და მას ნაკრებისვე მთავარი მწვრთნელი გიორგი გვაზავა უხელმძღვანელებს.

მამულის მეტოქემ, სოკოლ პორუბამ სეზონი უკვე დაიწყო. კლუბი გამოდის ინტერლიგაში, სადაც ჩეხეთისა და სლოვაკეთის 13 საუკეთესო კლუბი თამაშობს. პირველ ტურში სოკოლი შინ დამარცხდა სლოვაკეთის ჩემპიონ მიჰალოვცესთან (22:36), მოიგო პრეშოვში (33:28) და შინ წააგო უკვე ჩეხეთის ჩემპიონთან, პრაღის სლავიასთან (21:22).

**სოკოლ პორუბა:**

**მეკარეები:** მარკეტა დოლაკოვა (1989), ლენკა როჰაჩკოვა (1992), ჰანა მუჩკოვა (1998);

**მოთამაშეები:** მარია რევაიოვა (1991), მიხაელა სეკულოვა (1995), ანდრეა დვორჟაკოვა (1998), შარკა მარჩიკოვა (1992), ბარბორა მილკოვა (1990), ტერეზა ხოვანცოვა (1995), ალიცა კოსტელნა (1995), ლეონა შვირაკოვა (1991), სილვიე პოლაშკოვა (1998), ალჟბეტა რეხტორისოვა (1988), ჰანა მაივაელდეროვა (1993), დიანა ტომაშეჩოვა (1994), პეტრა ადამკოვა (1991), ნიკოლა ვარმუჟოვა (1996), ევა მინარჩიკოვა (1992), მიხაელა კონეჩნა (1998);

**მწვრთნელი:** პეტერ ოლშანსკი

# რობი ფაულერს ლივერპულის სჯერა



ლივერპულის ლეგენდარულ შემტევს, რობი ფაულერს სჯერა, რომ ამ სეზონში მერსისაიდელებს შეუძლიათ პრემიერ ლიგის ტიტულისთვის იბრძოლონ.

სეზონის სტარტზე „წითლებმა“ გასვლითი მატჩები უკვე ჩაატარეს ტოტენჰემის, ჩელსის და არსენალის წინააღმდეგ. ამასთანავე, მათ საკუთარ მოედანზე ჩემპიონი ლესტერი 4:1 გაანადგურეს.

5 ტურის შემდეგ, მერსისაიდელებს 10 ქულა აქვთ და ლიდერს 5 ქულით ჩამორჩებიან.

**რობი ფაულერი:**

– საფუძველს მოკლებულია იმის თქმა, რომ ლივერპულს არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ტოპ კლუბებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „წითლები“ ევროტურნირებს მიღმა არიან. ლივერპულის წარმატების გასაღები სტაბილურობაა. მათ ჰყავთ ნიჭიერი ფეხბურთელები, რომელთა ყურებაც გიყვართ.

ჩელსისთან „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩვენ მათი მასტერკლასი ვიხილეთ. მაგრამ შეძლებენ კი ისინი ასეთივე თამაშის ჩვენებას იმ გუნდების წინააღმდეგ, რომლებიც თავს დიდი ძალებით იცავენ? შეძლებენ ასე თამაშს ყოველ კვირას? ამავდროულად, ისინი ენერგიით აღსავსენი არიან და ეს არის ყველაფერი, რაც შეიძლება მოითხოვო ასეთი სტარტის შემდეგ.

# ილიას ზუროსი: „ჩვენ მომავალს ერთად ვაშენებთ“




საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება. შეგახსენებთ, რომ საქართველოსეროვნულმა ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო ტურში სტუმრად მონტენეგრო დაამარცხა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

სამწვრთნელო შტაბმა, გენერალურ მენეჯერთან ერთად, „ქორთიარდ მერიოტში“ პრესკონფერენცია გამართა, სადაც მადლობა გადაუხადეს ყველა იმ გულშემატკივარს, რომელიც ნაკრებს გვერდში ედგა.

ილიას ზუროსი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– დიდი მადლობა ყველას აქ მობრძანებისათვის და ამ ხნის განმავლობაში ჩვენს გვერდით დგომისთვის. მსურს, ყველას მივულოცო ეს წარმატება, რასაც ერთად მივაღწიეთ, დიდი და თავდადებული შრომის შედეგად. ამ მადლობას დავიწყებ ფედერაციიდან – მათ პირველივე დღიდან გამომიცხადეს ნდობა და მეც მქონდა იმის ამბიცია, რაიმე კარგი გამეკეთებინა.

ვამაყობ, რომ მათი გუნდის წევრი ვარ. ეს არამარტო შედეგზეა დამოკიდებული – ისინი ყოველთვის ცდილობენ, ააშენონ კარგი გუნდი და მწვრთნელთა შტაბი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და დამოკიდებულია არა მარტო პრეზიდენტზე, არამედ ყველაზე, ვისთან ერთადაც მთლიან გუნდს გვიწევს მუშაობა – ჩვენ მომავალს ერთად ვაშენებთ.

ჩვენ ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ. მადლობა კიდევ ერთხელ ყველას, ვინც ამ წარმატებაში პასიურად თუ აქტიურად, რამე ფორმით მიიღო მონაწილეობა. დიდი მადლობა გულშემატკივარს. 2 მატჩის ბილეთები სრულიად გაიყიდა.

ეს დაუჯერებელია და ძალიან სასიამოვნო, როდესაც ამხელა მხარდაჭერას გრძნობ. ჩვენ ბედნიერები ვართ! ჩვენ აუცილებლად დავუბრუნებთ ყველა იმ დადებით ემოციას, რაც მათ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში მოგვცეს!

# ბაიერნი ვეტერანებს კონტრაქტს გაუხანგრძლივებს



მიუნხენის ბაიერნის თვითმმართველობის დირექტორმა, კარლ ჰაინც რუმენიგემ გერმანულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ რეკორდმაისტერის მესვეურები არ გამორიცხავენ, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ხაბი ალონსოს, არიენ რობენსა და ფრენკ რიბერის კონტრაქტები გაუხანგრძლივდეთ.

34 წლის ალონსოს ბავარიელებთან კონტრაქტი 2017 წლის ივნისის ბოლომდე აქვს გაფორმებული. ფრანკ რიბერის და არიენ რობენსაც მიმდინარე კონტრაქტი სწორედ ამ დროს ეწურებათ.

ჩაბი ალონსო 34 წლისაა, არიენ რობენი 32-ის, ხოლო ფრანკ რიბერი 33 წლის გახლავთ.

ასაკის მატებასთან ერთად, ფეხბურთელებს ბოლო პერიოდში ტრავმიანობა მოუხშირდათ, თუმცა ეს არ ეხება არიენ რობენს, რომელიც რეკორდმაისტერში ასპარეზობის პერიოდში სულ ტრავმებით დატანჯული იყო.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე რეკორდმაისტერის უამრავი ქომაგი ფიქრობს, რომ ჩამოთვლილი ტრიო შესაძლოა კარიერის დასასრულს უახლოვდება, რადგან ასაკიდან გამომდინარე მაღალ დონეზე თამაშის შესაძლებლობა წლიდან წლამდე სულ უფრო მცირდება, თუმცა, როგორც ჩანს, რეკორდმაისტერის მესვეურები ცდილობენ ყველასთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღონ – არც ფეხბურთელები გაუშვან გულნატკენი და არც კლუბის შემტევი პოტენციალი დაასუსტონ.

# გრიზმანს ინგლისური კლუბები ითხოვენ




სატრანსფერო ფანჯარა ახალი დახურულია, მაგრამ უკვე დაიწყო ბრძოლა ზამთრისთვის, როდესაც გუნდებს ახალი ფეხბურთელების შეძენა უკვე შეეძლებათ.

მადრიდის ატლეტიკოს ფრანგი ფორვარდის ანტუან გრიზმანის შეძენით სამი ინგლისური გრანდია დაინტერესებული. ისინი მზად არიან, მის სანაცვლოდ სოლიდური თანხა გადაიხადონ – საუბარია 80 მილიონ ევროზე.

როგორც ინგლისური მედია იუწყება, მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი და არსენალი სეზონის დასრულების შემდეგ დიდი ბრძოლის მოწყობას აპირებენ ანტუან გრიზმანის ხელში ჩასაგდებად.

ეს ინგლისური კლუბები და ატლეტიკოს ფრანგი ლეგიონერი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად განიხილება, ბევრი კლუბის ინტერესის სფეროში მოხვდა.

## შედეგები

**19 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-დეპორტივო .................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-3 | 12 |
| 2.ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 13-5 | 9 |
| 3.ლას პალმასი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-5 | 9 |
| 4.ატლეტიკო | 4 | 2 | 2 | 0 | 10-1 | 8 |
| 5.სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 6.ვილიარეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| 7.ეიბარი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 8.ხიხონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-7 | 7 |
| 9.ალავესი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 10.ბილბაო | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| 11.დეპორტივო | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 12.ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 7-10 | 5 |
| 13.სოსიედადი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.ლეგანესი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 15.მალაგა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 16.ესპანიოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 7-11 | 2 |
| 17.გრანადა | 4 | 0 | 2 | 2 | 5-10 | 2 |
| 18.ოსასუნა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| 19.სელტა | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |
| 20.ვალენსია | 4 | 0 | 0 | 4 | 5-10 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-სალერნიტანა .................... 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სტრასბურგი-რედ სტარი .............. 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბენფიკა-ბრაგა .............................. 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ზენიტი-რუბინი .............................. 4:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-პაოკი .............................. 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ფენერბახჩე .................. 1:5

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ზლინი-სპარტა .............................. 1:1

სლავია-ლიბერეცი ......................... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-კრაკოვია .............................. 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ოლბორგი ....................... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰაკენი-გიოტებორგი ....................... 2:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# დავით ბაქრაძე: „ევროკავშირთან და ნატოსთან პროგრესი გვაქვს“

„ამერიკის ხმა“ ვაშინგტონში გასულ კვირას განხორციელებული ვიზიტის დროს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძეს ესაუბრა.
საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს ქართულენოვან ვერსიას:



***– უკანონო მოსმენები ერთ-ერთი მთავარი თემაა საარჩევნო კამპანიისას. როგორ უნდა შევეწინააღმდეგოთ ამ პრობლემას და ვინ არის პასუხისმგებელი?***

– პირველ რიგში, ბოლო წლებში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ეს არ არის ის საკითხი, რომელიც სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს. ეს არის უკანონო. აქედან გამომდინარე, მთავარია ის რეაგირება, რომელსაც სახელმწიფო ახდენს მსგავს ფაქტებზე. დაწყებულია გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროში. ვთვლით, რომ ის გარემო, რომელიც გვაქვს წინასაარჩევნოდ, კონკურენტული, ღია და პლურალისტური საარჩევნო გარემო, არის იმის მონაპოვარი და არ უნდა დავუშვათ, რომ ის დაბინძურდეს მსგავსი საკითხებით.

***– რას ელოდებით ვაშინგტონისგან, როგორ უნდა დაეხმაროს უფრო მეტად ამერიკა საქართველოს – ერთი მხრივ, ქვეყნის შიგნით, პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის და, მეორე მხრივ, ევროინტეგრაციის დაჩქარების კუთხით ევროკავშირთან?***

– ჩვენ ბოლო პერიოდში მივიღეთ არაერთი გამამხნევებელი და მხარდამჭერი გზავნილი. ერთერთი იყო კონგრესის ბოლო რეზოლუცია, რომელიც ძალიან მაღალი მხარდაჭერით სარგებლობდა კონგრესში და სადაც ხაზგასმით დაფიქსირდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და მისი ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ზაფხულს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს აშშ-სთან, რაც გულისხმობდა აშშ-ის მხარდაჭერას საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. აშშ სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში და ეს არის ის მნიშვნელოვანი მიმართულება, რაც გვეხმარება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით. ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა ამ თვალსაზრისით დიდი მოწონება დაიმსახურა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის დროსაც საქართველოში.

***– როგორ უყურებთ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას და რამდენად შესაძლებელია, რომ ქვეყანა, ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობის პარალელურად, რუსეთთანაც აღრმავებდეს უფრო მეტად ურთიერთობას?***

– ჩვენ სწორედ პრაგმატული ურთიერთობებით რუსეთთან შევქმენით ის სტაბილური გარემო ქვეყნის განვითარებისთვის, რომელიც დღეს გვაქვს ამ გამოწვევებით აღსავსე რეგიონში. ამით უზრუნველვყავით სტაბილური და თანმიმდევრული გარემო ქვეყნის განვითარებისთვის. ამის გამო ჩვენ მაქსიმალურს მივაღწიეთ ევროკავშირთან, ასოცირება იქნება ეს თუ თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, თუ ვიზალიბერალიზაციის საკითხები და ამ კუთხით რეფორმების დასრულება. ნატოსთან კი მივაღწიეთ იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელიც თავსებადობისა და თავდაცვისუნარიანობის გაზრდას მოემსახურება.

რაც შეეხება დიპლომატიურ ურთიერთობებს, აქ არის ძალიან მკაფიო პოზიცია: ჩვენ პრაგმატული, დეესკალაციის პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, თუმცა ეს არანაირად არ მოხდება ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენული უფლებების ხარჯზე. ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი საფრთხეები და სწორედ ეს ქმნის იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ჩვენ ქვეყნის განვითარებისთვის ვუკავშირებთ ნატოსა და ევროკავშირს. ჩვენ სწორედ ამ პრაგმატული პოლიტიკის კვალდაკვალ გვაქვს პროგრესი ევროკავშირთან და ნატოსთან, პოლიტიკა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად სამაგალითოდ არის მიჩნეული აშშ-სა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისა თუ ხელმძღვანელების მხრიდან.

***– რა შედეგს მოუტანს საქართველოს შეერთებულ შტატებში უკვე ტრადიციად ქცეული რეზოლუციები ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერით და რა გზას ხედავთ კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობების გასაჯანსაღებლად?***

– საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი სტრატეგიული პარტნიორი აშშ ამახვილებს ყურადღებას ჩვენს ტერიტორიულ საკითხებზე, მნიშვნელოვანია თითოეული რეზოლუცია, რომელსაც ამ მიმართულებით – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად იღებს კონგრესი და თავის დღის წესრიგში აყენებს. ჩვენ დღეს გვაქვს აშშ-სთან ის ჩარჩო ხელშეკრულება-სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია, რომლის ფარგლებში ვავითარებთ ბევრი მიმართულებით აქტიურ თანამშრომლობას და ვიღებთ მაქსიმალურ მხარდაჭერას აშშ-სგან, ამის პარალელურად, გვეძლევა შესაძლებლობა გავაღრმავოთ ხალხთაშორისი ურთიერთობები ჩვენს მოქალაქეებთან საოკუპაციო ხაზის მიღმა, გვქონდეს აქტიური ნდობის აღდგენის პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება საქართველოს მოქალაქეებისთვის მთავრობის მიერ მიღწეული სარგებლის გაზიარებით ყველა მოქალაქისთვის საზღვრის ორივე მხარეს, მათ შორის იმ სარგებლის გაზიარებით, რომელსაც მოიტანს ვიზალიბერალიზაცია.

***– აკეთებს თუ არა საქართველოს სახელმწიფო საკმარისს რუსეთის პროპაგანდის დასაძლევად მედიაში, პოლიტიკაში, წინასაარჩევნოდ, საჯარო დიპლომატიაში, საგარეო ურთიერთობებში და თუნდაც ახალგაზრდა თაობის უკეთ გასანათლებლად?***

– მე ვფიქრობ, ამაზე პასუხი მარტივია სწორედ იმ ღია, დემოკრატიულ ატმოსფეროში და იმ მაღალი მხარდაჭერის პირობებში, რომელიც ჩვენ შევინარჩუნეთ მოსახლეობაში ნატოსა და ევროკავშირის მიმართ, მიუხედავად გაზრდილი ანტიდასავლური პროპაგანდისა ყველგან ევროპაში. ამის პარალელურად, ჩვენ ვაწარმოებთ აქტიურ სტრატეგიულ საკომუნიკაციო პოლიტიკას, რომელშიც ჩართულია სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო მისიები, რათა ერთობლივი ძალისხმევით ვახერხებთ, რომ გავხადოთ ეს მხარდაჭერა ცოდნაზე დაფუძნებული. დღეს, საქართველოს მოსახლეობამ ბევრად უფრო კარგად იცის რა სარგებელი მოაქვს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და ეს არის მნიშვნელოვანი, რათა ხვალ და ზეგ არ მოხდეს არასწორი ინფორმაციით ამ მხარდაჭერის შეფერხება ან ამ მხარდაჭერის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. ჩვენ გვაქვს მკაფიო პოლიტიკა და განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფები, ვისთანაც მუდმივად ვაწარმოებთ საინფორმაციო პოლიტიკას, და აქ შედეგებზე მეტყველებს ის, რაც გამოისახება მაღალ მხარდაჭერაში ევროკავშირისა და ნატოს მიმართ.

**ნიუსპრესი**

## მკურნალი მცენარე

## თალგამი

თალგამი ორწლოვანი ბოსტნეული მცენარეა. პირველ წელს ივითარებს როზეტსა და ძირხვენას, მეორე წელს – საყვავილე ყლორტებს და იძლევა თესლს. ფარისებრია, ყვითელხორციანი. ჯიშების გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-ოქროსფერია, თეთრხორციანისა – მოყვითალო-ლიმონისფერი.

ნაყოფი თვითხსნადი გრძელი ჭოტია. თესლი წვრილი და მრგვალია, ფერად ღია ან მუქი.

თალგამი ყინვაგამძლეა (უძლებს 4-5°C ყინვას), ტენის მოყვარულია, ამასთან საკმაოდ სიცხეგამძლეცაა. მოჰყავთ ყველანაირ ნიადაგზე. ძირხვენა შეიცავს მშრალ ნივთიერებას (მათგან ნახევარი შაქრებია), ცე და ბე ვიტამინებს, კაროტინს, მდოგვის ზეთს, რომელიც აძლევს თალგამს სუნსა და გემოს.

თალგამი იჭმევა ნედლი, მოხარშული და შემწვარი. არსებობს თალგამის სუფრისა და პირუტყვის საკვები ჯიშები.



მცენარეს აქვს შარდმდენი, ანისეპტიკური და ანტიანთებითი თვისებები, სვამენ გულისცემის მოსაწესრიგებლად. მისი ნახარში მიიღება მწვავე ლარინგიტის, ხმის ჩახლეჩის, ასთმის შემთხვევაში. მოხარშულ და დასრესილ თალგამს იდებენ მტკივნეულ ადგილებზე.

იყენებენ აბაზანებში ბუასილის დროს. მისი წვენი გახლავთ ორგანიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ეფექტიანი გამწმენდი საშუალება. იგი ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საკვების მონელების ხარისხს, აძლიერებს ნაწლავის მოტორიკას და ხელს უწყობს დაგროვილი წიდის ორგანიზმიდან გამოყოფას, ქვებისა და ქვიშისგან თირკმელების გაწმენდას. შავი თალგამის წვენი შველის ხველებას. კბილის ტკივილისას იყენებენ გამოსავლებად.

## ტირიფი



ტირიფი 30 მეტრამდე სიმაღლის ხეა გაშლილი ვარჯით. აქვს ღრმად დახეთქილი ქერქი, დრეკადი ტოტები, ლანცეტური ფოთლები, წვრილი ყვავილები.

ნაყოფი ფრენია კოლოფია. ყვავილობს გაზაფხულზე. ხარობს ნესტიან ადგილებში. ყველა სახის ტირიფი შეიცავს გლიკოზიდებს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კატეხინებს, ტანინებს, ვიტამინებს.

სამკურნალოდ გამოიყენება როგორც ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, სისხლძარღვგამაფართოებელი, ნაღველმდენი, შემომგარსველი, შემკვრელი, დამამშვიდებელი, სიცხის დამწევი და ოფლმდენი საშუალება.

## ასტროპროგნოზი
## 21 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **კურო** – ვარსკვლავები მამაკაცებს დღეს სტუმრად წასვლას ურჩევენ. კეთილისმყოფელი და ჰარმონიული პერიოდია. **ტყუპები** – ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კირჩხიბი** – სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამომავლოდ გადადეთ. **ლომი** – იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **სასწორი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ღრიანკალი** – შეცდომების გამოსასწორებლად შანსი გეძლევათ. მოთმინება და თავშეკავება დღეს სავალდებულოა. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **მერწყული** – გამოიჩინეთ სიბრძნე და სამართლიანობა. დაეხმარეთ მათ, ვისაც ეს თქვენგან სჭირდება. **თევზები** – აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ესპანელი მწერალი; 2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 3. ტროპიკებში გავრცელებული შხამიანი ობობა; 4. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 6. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 7. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. ქართული ლუდი; 13. ინდოეთის ოკეანესპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 17. ცხენების ჯოგი; 18. თევზის ძვალი.

**თარაზულად**: 1. ბერძნული ცეკვა; 3. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 8. მუსიკალური ნაწარმოები; 10. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 11. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 12. მინერალი, მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა; 14. სინათლის სიკაშკაშის საზომი საერთაშორისო ერთეული; 15. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ჯიში; 16. გემთმშენებელი საწარმო; 19. კაზაკთა სოფელი; 20. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 21. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. თაობა; 3. ხვიფლი; 5. „ქართუ“; 6. „საფერავი“; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კოსტავა; 14. „ალმაზა“; 15. ფინიკი; 16. პიეზა.

**თარაზულად:** 1. ჭანეთი; 4. ექსცესი; 7. სტოუნი; 9. ლუხუნი; 11. ტრაპეზი; 12. კაჭარავა; 13. არაქსი; 17. კელარი; 18. ეირე; 19. ზვიადაური; 20. პითაგორა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტავტოლოგია; 2. ტრაქტი; 3. პინოქიო; 4. ლიმფა; 5. ნარმანია; 6. თართი; 7. ჟინვალი; 9. პოშეტი; 13. ემალი; 17. ნომი; 18. ბოა.

**თარაზულად:** 1. ტალანტი; 3. „პირელი“; 8. მაიამი; 10. აქსიომა; 11. პორშე; 12. ბარხანი; 14. მოსტრა; 15. ანოსმია; 16. იანძი; 19. ბულიტი; 20. ფარვანა; 21. კრუიზი.

# გია ჭირაქაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან



საქართველოს სახალხო არტისტ გია ჭირაქაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან. კულტურის პალატის ორგანიზებით 21 სექტემბერს ფილარმონიის წინ საზეიმოდ გაიხსნება ანსამბლ „ქართული ხმების" დამფუძნებელი წევრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ყოფილი ტელეწამყვანისა და პირველი ქართველი შოუმენის გია ჭირაქაძის ვარსკვლავი.

გია ჭირაქაძე წლების განმავლობაში იყო ანსამბლ „დიელოს", შემდეგ უკვე „ქართული ხმების" წევრი. 18 წელი იმუშავა ტელევიზიაში. მის სახელს უკავშირდება შოუმენის კულტურის დამკვიდრება საქართველოში. 2014 წელს კი მას თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

გია ჭირაქაძეს 21 სექტემბერს 79 წელი უსრულდება. ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალამდე შემოქმედებითი-საიუბილეო კონცერტი გაიმართება, რომელსაც თავად იუბილარი გაუძღვება. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლ „ქართული ხმების" ორი თაობა, ნანი ბრეგვაძე, ირმა სოხაძე, ნანული აბესაძე, ოთხი გია, თბილისური კვარტეტი, კონსერვატორიის სექსტეტი, თამრიკო ჭოხონელიძე, მაია ჯაბუა, ეკა მამალაძე, აჩიკო ნიჟარაძე, ნათია პერანიძე, მარიკო ებრალიძე, მაკა ზამბახიძე, დათო ნოზაძე, დავით მიზანიშვილი და მისი ბენდი.

კონცერტის დასრულების შემდეგ დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გია ჭირაქაძის ვარსკვლავი საზეიმო ვითარებაში გაიხსნება და მას ფეიერვერკი დაასრულებს.

# ლიკა ლაბაძე გათხოვდა

ბალერინა და ტელეწამყვანი ლიკა ლაბაძე, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ცეკვავენ ვარსკვლავების" პირველი სეზონიდან სამორი ბალდესთან ერთად მოგებული პროექტით გაიცნო, გათხოვდა. ქართველმა პატარძალმა ულამაზესი საქორწინო კაბა ნიუ იორკში შეიძინა.



ლიკა ლაბაძის რჩეული იტალიელი ჯუზეპეა, რომელიც ქართველმა ლამაზმანმა ნიუ იორკში სწავლისას გაიცნო. წარმოშობით იტალიელი ჯუზეპე საფრანგეთში სწავლობდა. ის პროფესიით ინჟინერია, პარალელურად კი 16 წლიდან მსახიობი და მოდელია. ჯუზეპემ გადაწყვიტა, საკუთარი ძალები ამერიკულ კინოინდუსტრიაშიც მოესინჯა.

ლიკამ განაცხადა, რომ ჯუზეპე მზად იყო, ლიკას გამო მართლმადიდებლობაც მიეღო და კათოლიკობაზე უარი ეთქვა, მაგრამ ეს საჭირო არ გახდა. წყვილმა იტალიაში ერთ-ერთ ტაძარში იქორწინა. ჯვრისწერისა და ქორწინების ცერემონიალს, მათი უცხოელი მეგობრების გარდა, საქართველოდან ჩასული ლიკას მეგობრებიც ესწრებოდნენ. საქართველოდან ლიკას ბედნიერების გასაზიარებლად 60 ადამიანი ჩავიდა.

ჯვრისწერის შემდეგ ქორწილმა ულამაზეს დარბაზში გადაინაცვლა, სადაც ახლადშეუღლებულებმა საქორწილო ტორტი ერთად გაჭრეს. საღამო გრანდიოზული ფეიერვერკით დაასრულეს.

# ნუკი კოშკელიშვილი მსახიობი გახდა



ტელეწამყვანი და მოდელი ნუკი კოშკელიშვილი მსახიობი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში გათხოვდა და არცთუ ისე ხშირად ჩამოდის საქართველოში, მას სხვადასხვა პროექტში მაინც იწვევენ და არც ამბობს უარს.

ამჯერად ნუკი რეპერმა მასტერმა, იმავე გიორგი პავლიაშვილმა მიიწვია თავის ახალ კლიპში მთავარი როლის შესასრულებლად.

რეგეის სტილში რეპერმა სიმღერა პირველად ჩაწერა და კლიპიც შესაბამისი გადაიღო. მასტერმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" პირად მიმოწერაში „სეენ" (ნახვა) ოპერაცია თავისი ახალი სიმღერის მთავარ მოწოდებად აქცია.

„დამსინა" – ასე უწოდა თავის ახალ სიმღერას მასტერმა და ნუკი კოშკელიშვილი მთავარ მოვლენად აქცია.

ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და ათასობით ნახვა აქვს. „მაინც დამსინა ამ ბოსისშვილმა" – ეს არის მთავარი ფრაზა, რომელიც სიმღერაში ყველაზე ხშირად არის გამოყენებული. კლიპის ნახვები 100.000-ს ასცდა და მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

# თისელის კულტურულ ძეგლებს საფრთხე აღარ ემუქრებათ

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს საფრთხე აღარ ემუქრებათ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ სოფელ თისელში რეაბილიტაცია ორ ძეგლს უტარდება.

თისელის ეკლესია ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ თისელის ტყეში, პატარა მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. იგი ისტორიული სამცხის მეექვსე გუმბათიანი ნაგებობაა. ტაძრიდან აღმოსავლეთით, კლდის ქიმზე, ციხის ნანგრევია, ხოლო ხეობის სიღრმეში დარბაზული ეკლესია და სამონასტრო კომპლექსია განლაგებული სხვადასხვა დანიშნულების დანგრეული ნაგებობების ნაშთით. შემორჩენილია სამონასტრო კომპლექსის გალავნის ნანგრევებიც. ამჟამად ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. დასავლეთი ნაწილი საფუძვლამდე დანგრეულია, სამხრეთის შესასვლელი გარღვეულია. სამხრეთ ფასადზე საპირე წყობა თითქმის მთლიანად მორღვეულია, ჩრდილოეთ ფასადზე ნაწილობრივ საპირე ქვის ნაწილი გაზიდულია, ნაწილი მიწაშია დამარხული.



წმინდა გიორგის სახელობის გუმბათოვან ტაძარზე რეაბილიტაციის მესამე ეტაპი მიმდინარეობს. კეთდება დაზიანებული და ჩამოშლილი სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების თაღები, ამოყვანილია დასავლეთისა და სამხრეთის შიდა კედლები. ეს სამუშაოები, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დააფინანსა, ივნისში დაიწყო და ოქტომბრის ბოლოს დასრულდება. წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის რეაბილიტაციის მეოთხე ეტაპის სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ნუგზარ და როლანდ (ჯუბა) ბასლანძეები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის, ნათესაობაში გამორჩეული, ოჯახზე, ნათესავებზე უზომოდ შეყვარებულისა და მზრუნველის, სულით ლამაზი, ყველასათვის საყვარელი პიროვნების

**ანზორ (მექია) ბასლანძის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## მკურნალი მცენარე

# კიბოს უჯრედების ზრდის შემაჩერებელი მცენარეები

**ქრისტესისხლა** – ნედლი მცენარე გაატარეთ ხორცსაკეპში და გამოწურეთ წვენი. დააკონსერვეთ იგი არაყით 1:1 და შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

**ნაცარქათამას ფესვი** (გადახრილი პეონი, იორდასალამი) – დააქუცმაცეთ 100 გრამი ფესვი და დაასხით 1 ლიტრი არაყი ან 75%-იანი სპირტი. სვით 0,5-1 ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, დააყოლეთ არყის ჭიქით წყალი.

**თეთრი ფითრი** – ნედლი მცენარე დააქუცმაცეთ, გაავსეთ ლიტრიანი ქილის 1/3 ქილა შეავსეთ არყის ბოლომდე. დააყენეთ 30 დღე, შემდეგ გაწურეთ და დარჩენილი მცენარე გამოწურეთ. სვით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, მიაყოლეთ წყალი.



ამ ბალახების ნაყენები მონაცვლეობით მიიღეთ ყოველ ერთ-ორ კვირაში ერთხელ. სასურველია, ერთ-ერთი წყლიანი ნაყენი ან წვენი მიიღოთ საღამოთი, ვახშმის წინ. მკურნალობის კურსია არა უმეტეს სამი თვისა. დაავადების ლიკვიდაციის შემდეგ სასურველია, სვათ ერთ-ერთი ნაყენი ერთხელ დღეში, ან რამდენიმე მცენარის ჩაი, გემოვნების მიხედვით.

კიბოს საწინააღმდეგო საშუალებაა **ზეითუნის ზეთი.** პროფილაქტიკისთვის ორ-ორი სუფრის კოვზი დღე-ღამეში.

სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას იჩენს კიტრის მწარე ჯიშების გამოყენება, ასევე ტყის თხილისგან დამზადებული საცხის გარეგანი ხმარებაც.

**ჩვეულებრივი ბრტყელეკალა.** 2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ბალახი ხარშეთ 5-7 წუთი 0,5 ლიტრ წყალში, გააცივეთ და გაწურეთ. სვით დღის განმავლობაში თანაბარი ულუფებით.



ბრტყელეკალას 3 დაფხვნილ ყვავილს დაასხით 0,4 ლიტრი მდუღარე წყალი, დააყენეთ 1 საათი, გაწურეთ. სვით ნახევარ-ნახევარი ჭიქა 4-ჯერ დღეში. 25-30 დღის განმავლობაში.

ჩვეულებრივი ბრტყელეკალას ნედლი ფოთლების წვენს სვამენ თითო ჩაის კოვზს 3-ჯერ დღეში 30 დღის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

**კაროტინული დიეტა** – მის შემადგენლობაში შედის ხახვი, სტაფილო, ნიორი, ბულგარული წიწაკა, მჟაუნა, ასკილი, ღოლო, ისპანახი, ოხრახუში და სხვ. სტაფილო უმჯობესია მოთუთქული ან მოხარშული, ნებისმიერ ცხიმთან ერთად.

**ტარხუნა** – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე 30-125 სმ სიმაღლისა. იზრდება სწორად. ფოთოლი ლანცეტურია, ყვავილები თეთრი, პატარა, კალათებად შეკრებილი. შეიცავს ეთერზეთებს, ოცემინს, ვიტამინ ცეს, კაროტინს, რუტინს, ფენოლკარბონის მჟავას, მთრიმლავ და მწარე ნივთიერებებს. მისი ნაყენი დამარბილებელი და სიცხისდამწევი საშუალებაა ეპილეფსიის, სურდოს, კუჭ-ნაწლავისა და ზემო სასუნთქი გზების დაავადების, ციებ-ცხელების, რევმატიზმის და რადიკულიტის დროს.



ნაყენს იყენებენ ტუბერკულოზის, პნევმონიის და ბრონქიტისას. ბროწეულის ყვავილთან ერთად ამზადებენ მალამოს სტომატიტისა და გინგივიტის სამკურნალოდ.

# პროგრამა

**ოთხშაბათი 21 სექტემბერი**

**06.10, 14.10** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **07.10** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა.ავიაკატასტროფა" **08.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **08.10** ან/სერ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "დილის მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**შეგიძლიათ არ დააკაკუნოთ**" **14.50** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.35** "ეკიპაჟი" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ჯვარცმის საიდუმლო " **20.00** მოამბემოამბის სტუმარი **21.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **22.30** გადაცემა "X სტუდია" **23.30** მხ/ფ "**ელისაბედი. ოქროს ხანა**" **01.30** მხ/ფ "**შეგიძლიათ არ დააკაკუნოთ**" **02.50** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ჯვარცმის საიდუმლო"

**08.00** დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" **09.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" **12.00** ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **18.00, 21.00** "არჩევნები 2016" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**უნივერსალური ჯარისკაცი**" **02.35** მხ/ფ "**რა ხდება?**" **03.55** მხ/ფ "**მიდელტონი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 3 **23.00** ნანუკას შოუ **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** 59 წამი **13.30, 2.15** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** სერ. "**ჰეროკრატია**" **0.30** მხ/ფ "**ჰიტმენი**"

**06.15** დროის ჩანაწერები "ლამზირა ჩხეიძის ავტოპორტრეტი" **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **11.05** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა "კასპის რაიონი სოფ. მეტეხი" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "პუანტესია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** ტელეზღაპარი "რწყილი და ჭიანჭველა" **15.15** "ღვთისმშობლის შობა" **15.40** ივერიის ეკლესია **16.00** კონცერტი **17.05** საყმაწვილო ენციკლოპედია **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**"V ს. **20.40** ძილი ნებისა "ლომი და მელია" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "საუფლონი" ღვთისმშობლის შობა-"ტაძარი პირმეტყველი" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი "გელა ქოქიაშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.00, 14.05 , 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი"თრილერი**" **21.40** "ღამის კონტაქტი" **23.10** სერ. "**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**21 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3167 |
| ევრო | 2.5866 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0245 |
| 100 რუსული რუბლი | 3.5714 |

## ამინდის პროგნოზი 21 სექტემბრისთვის





## 23 სექტემბრიდან




ილია ჭავჭავაძე

**კაცია-ადამიანი?!**

ფართოფორმატიანი, მაღალპოლიგრაფიული, დასურათებული გამოცემა

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 20 სექტემბრიდან

ედიშერ ყიფიანი

**ტომი I**

წიგნი საკმაოდ სქელტანიანია, 560გვ. მასში შესულია მწერლის თითქმის ყველა მოთხრობა და რამდენიმე წერილი.




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ ამბობენ, რომ ის, ვინც არ ეწევა, არ სვამს, ქალებში არ დადის, ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრებსო?

– იმიტომ, რომ თუ კაცი სულელია, ის დიდხანს გაჰყვება...

●●●

ცოლი ლოთ ქმარს ეუბნება:

– როგორ მომაბეზრე თავი, ყოველ საღამოს მთვრალი ხარ, ფული სახლში არ მოგაქვს, წადი ერთი სასაფლაოზე და ნახე, რამდენი შენი ასაკის არის არყისგან მკვდარი.

მეორე დღეს ქმარი დილით ადრე გავიდა სახლიდან და საღამოს ისევ მთვრალი მოვიდა. ცოლი ეკითხება:

– მთელი დღე სად დაეხეტებოდი?

– ყველა სასაფლაო მოვიარე გვირგვინებზე გაკეთებულ წარწერებს ვკითხულობდი.

– მერე?

– მერე, ეწერა: სიდედრისგან, მშობლებისგან, ცოლისგან, ნათესავებისგან, მეგობრებისგან, მეზობლებისგან, მაგრამ, არყისგანო, არსად ეწერა!

●●●

ორი ნაცნობი. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს!

– გადაწყვიტე მომიბოდიშო?

– არა, ახალი მოვიფიქრე!

●●●

ქალი ცდილობს ურიგოდ წავიდეს და იძახის:

– გამატარეთ, ფეხმძიმედ ვარ!

– შენ მუცელი დაგვანახე, თორემ წუხელ ყველას გვქონდა სექსი!

●●●

თუ შიშველი მამაკაცი შემთხვევით ქალების აბანოში მოხვდება, ქალები წივილ-კივილს ატეხენ და მდუღარე წყალს შეასხამენ.

ხოლო თუ შემთხვევით შიშველი ქალი აღმოჩნდება კაცების აბანოში, პირიქით, მამაკაცები სიხარულით შეხვდებიან. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს მამაკაცების გულკეთილობაზე.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს, ერთი მეორეს ეუბნება:

– ასი დოლარი მასესხე.

– არ გასესხებ.

– დაიცადე, მე შენ ამას გაგახსენებ!

– აი, ხედავ? და რომ მომეცა, მაშინვე დაივიწყებდი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 22 სექტემბრიდან

# საქართველოს გეოგრაფიული ატლასი




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## ჰარი კეინმა შესაძლოა 2 თვე გამოტოვოს



ლონდონის ტოტენჰემის ფორვარდმა ჰარი კეინმა სანდერლენდთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო, რის გამოც მას შესაძლოა 2 თვის გამოტოვება მოუხდეს. როგორც ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ თქვა, კეინის ტრავმა სერიოზულია, თუმცა მისი დაბრუნების ზუსტი ვადა ჯერჯერობით ცნობილი არ არის და შესაძლოა კეინს 2 თვის გამოტოვება არ დასჭირდეს.

კეინმა სანდერლენდთან ტრავმა მატჩის მიწურულს მიიღო და იმ მატჩში ერთადერთი გოლიც სწორედ მან გაიტანა. ტოტენჰემს მის გარეშე უდავოდ ძალიან გაუჭირდება, რადგან კეინი ბოლო წლებში გუნდის ლიდერი და ბომბარდირია.

## ჯონ ტერიმ ვარჯიში განაახლა



ჩელსის ვეტერანმა მცველმა ჯონ ტერიმ, რომელმაც ერთი კვირის წინ ტრავმა მიიღო, ვარჯიში განაახლა.

ტერი ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვარჯიშობს და უახლოეს დღეებში მოედანზე არ დაბრუნდება, თუმცა პრემიერლიგის მე-6 ტურის შეხვედრაში არსენალის წინააღმდეგ ის შესაძლოა მოედანზე ვიხილოთ.

ტერიმ ლივერპულთან წაგებული შეხვედრა გამოტოვა და მის გუნდს ეს ძალიან დაეტყო. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ჯონ ტერი კარგ ფორმაშია და ის ჩელსის მთავარი მწვრთნელის, ანტონიო კონტეს, ნდობით სარგებლობს.

## ჟოზე მაურინიოს ისკოს გადაბირება სურს



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარ მწვრთნელ ჟოზე მაურინიოს თავისი გუნდის გაძლიერება სურს და რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას აპირებს. ეს ინფორმაცია ინგლისურ პრესაში ვრცელდება.

რეალში ისკოს არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს და ის ხშირად ვერ ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ მისი წასვლა რეალიდან არავის გაუკვირდება. არ არის გამორიცხული, რომ ისკო მანჩესტერ იუნაიტედში იჯარის სახით გადავიდეს.

ჯერჯერობით თვითონ ფეხბურთელს კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისკოს რამდენჯერმე შეეძლო რეალის დატოვება, მაგრამ მან დარჩენა არჩია.

## ბარსელონა დარიო სრნათი დაინტერესდა



ბარსელონა დონეცკის შახტარის ხორვატი მცველით დარიო სრნათი დაინტერესდა. ამის შესახებ დარიოს აგენტმა დამირ შიმაცემ განაცხადა, რომლის თქმითაც, ბარსელონის ინტერესი სერიოზულია.

კატალონიური გუნდის წარმომადგენლებს ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა შახტარის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა დაადასტურა, რომ ბარსელონას დარიო სრნას შეძენა სურს.

სრნა უკვე 34 წლის არის და მან თითქმის მთელი კარიერა შახტარის შემადგენლობაში გაატარა. ამ ხნის განმავლობაში დარიო უკრაინული გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი და ლიდერი იყო.

## ბასილაშვილი ატპ-ის ტურნირის მერვედფინალში გავიდა

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა საფრანგეთის ქალაქ მეცში ატპ-ის ტურნირის პირველი რაუნდი წარმატებით დაძლია და მერვედფინალში გავიდა. ბასილაშვილმა ფრანგი ჩოგბურთელი გრეგუარ ბარერი დაამარცხა სამ სეტში და მისი მომავალი მეტოქე ჟილ მიულერი იქნება, რომელიც რეიტინგში 37-ე ადგილს იკავებს.



ამ შეხვედრაში ფავორიტი მიულერია, თუმცა შანსები ბასილაშვილსაც აქვს.

ამჟამად ქართველი ჩოგბურთელი რეიტინგში 106-ე ადგილს იკავებს და საფრანგეთში ჩატარებული ტურნირის შემდეგ მან შესაძლოა უფრო წინ წაიწიოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 2. შემწე, მფარველი ადამიანი; 3. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 5. დეპუტატთა გასამრჯელო მეფისდროინდელ რუსეთში; 6. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდზე, ფულზე; 8. რაინდული ქცევისა და ბუნების მქონე მამაკაცი ძველ თბილისში; 10. საყვარლის ხარჯზე მცხოვრები მამაკაცი; 12. მათემატიკის ნაწილი; 14. სადაზღვევო მოწმობა; 15. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 1. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 4. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 7. მდინარე ზუგდიდში; 9. გემის ტვირთმზიდაობა; 11. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. ღვინის სპირტი; 13. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 17. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 18. შხამიანი აფრიკული ბუზი; 19. ფრანგული არაყი; 20. მცენარეულის მჭამელი ცხოველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი